# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 9 აგვისტო, 2014 წელი.

№157 (7538)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


## მოუ-შორე-ბელი ჭირი და მაოხრე-ბელი გზირი

### ჩვენი დასავლელი მეგობრების ჭაპანწყვეტა

## ცოდვილი სააკაშვილის პასუხისმგებლობისგან გადასარჩენად!



ეს მოკავშირეები ცდილობენ ცოდვები მოუხსნან სააკაშვილს!



# ვითომ მეგობრები იცავენ?

**სენატორი ჯონ მაკკეინი და სხვები ვაშინგტონში ცდილობენ დააშინონ მოკავშირეები. ლოს-ანჯელესში ერთი თვის წინათ საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ სურს პასუხი მოსთხოვოს ყოფილ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს დანაშაულებისა და ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო. ბრალდებები კარგად არის დოკუმენტირებული, მათი გადაწყვეტა დაეხმარება საქართველოს იმოძრაოს წინ ახალი დემოკრატიული, თავისუფალი ერის ჩამოყალიბებისკენ, თუმცა, ბრალდების საქმე ქმნის გარკვეულ პრობლემებს სააკაშვილის მომხრეებისთვის დასავლეთში. ეს მოკავშირეები ცდილობენ ცოდვები მოუხსნან სააკაშვილს.**

**„სააკაშვილს არ სჭირდება მეგობრების მცირე დახმარება“,** — ამ სათაურით აქვეყნებს გამოცემა Foreign Policy ამერიკელი ექსპერტის, **ლინკოლნ მიტჩელის** სტატიას საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენებასთან დაკავშირებით.

როგორც სტატიის ავტორი განმარტავს, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისთვის ბრალის წაყენებას ამერიკელი სენატორები, მათ შორის, ჯონ მაკკეინი, გამოეხმაურნენ და თავიანთ წერილში საქართველოს ხელისუფლება გააფრთხილეს, რომ სააკაშვილისთვის ბრალდების წაყენებამ, შესაძლოა, საფრთხე შეუქმნას აშშ-საქართველოს ურთიერთობებს. მიტჩელი აღნიშნავს, რომ საქართველოს დასავლელი მოკავშირეები, ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატები, მტკიცედ ეწინააღმდეგებიან სააკაშვილის წინააღმდეგ სასამართლოს წესით დევნას.

**„საქართველოს ხელისუფლება არჩევანის წინაშე იდგა — შიდაპოლიტიკური მოთხოვნები უნდა შეესრულებინა ან დაეკმაყოფილებინა უცხოელი მოკავშირეების სურვილი. საბოლოოდ, საქართველომ უცხოელი მხარდამჭერების პრეფერენციებს, მოთხოვნებს კანონის უზენაესობა ამჯობინა“,** — ნათქვამია სტატიაში.

ლინკოლნ მიტჩელი ასევე წერს, რომ ნაცვლად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ურთიერთობისთვის საფრთხის შექმნისა, უკეთესი იქნება, თუ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერები მის მიმართ დამოკიდებულებას შეიცვლიან.

**„მათ სჯეროდათ, რომ სააკაშვილი ჭეშმარიტი დემოკრატი იყო, მაგრამ, როგორც ისტორია გვიჩვენებს, ამავდროულად, მას შეეძლო ძალადობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მიმართავდა ავტორიტარულ მეთოდებს. ამ შეცდომების აღიარება პოლიტიკოსებს არ უყვართ. უფრო ადვილია, საქართველოს ახალი მთავრობის დადანაშაულება იმაში, რომ შურისმაძიებელია და წარსულისკენ იყურება. ამის გაკეთებით ეს ამერიკელები და კონსერვატიული „ევროპის სახალხო პარტიის“ ლიდერები საქართველოს დემოკრატიას ზიანს აყენებენ“,** — ნათქვამია ლინკოლნ მიტჩელის სტატიაში.

ამერიკელი ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ ქართველები დღეს ისწრაფვიან კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის რთული საკითხების მოგვარებისკენ.

მისივე თქმით, ქართველები ცდილობენ დაიცვან ბალანსი წინსვლისა და ისეთი პრეცედენტის შექმნის სურვილით, რომ მომავალში მსგავსი დარღვევები შეწყნარებული აღარ იქნება.

**„ყოფილი პრეზიდენტისადმი ბრალის წაყენება ადვილი არ იყო, თუ საერთაშორისო რეაქციით ვიმსჯელებთ, შესაძლოა, სწორი არც დიპლომატიური არჩევანი იყო, მაგრამ ეს არჩევანი კარგი მიზეზით გაკეთდა. საქართველოს მეგობრებმა უნდა გაიაზრონ ეს მოტივები და ბიძგი უნდა მისცენ მთავრობას, რომ სამართლებრივი პროცესის უმაღლესი სტანდარტი დაცული იყოს“,** — ნათქვამია ლინკოლნ მიტჩელის სტატიაში.

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

⊙ პატივგება

# ტრაგიკული აგვისტოს გმირები



**მუხათგვერდის** ძმათა სასაფლაოზე, აგვისტოს ომში დაღუპულ გმირებს პატივი მიაგეს საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ, თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დედაქალაქის მთავრობის წევრებთან ერთად და ხელისუფლების სხვა წევრებმა.

— ძალიან მძიმე მოსაგონარია ის, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა, ბიჭების სისხლი დაიღვარა, იმ ადამიანების, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ერთიანობა შეენარჩუნებინათ, მაგრამ ძალიან მძიმე და უფრო რთული არის ის, თუ როგორ მოხდა ეს ყველაფერი, რა იყო ამის საფუძველი და საბაბი. ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი უნდა იქნეს გამოძიებული, გამოკვლეული და სათანადო პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს, რომლებიც წლების განმავლობაში ამ თვალსაზრისით დაგროვებული აქვს საზოგადოებას, — აღნიშნა დავით ნარმანიამ.



გმირთა ხსოვნას პატივი მინისტრებმაც მიაგეს. მთავრობის წევრები მუხათგვერდის სასაფლაოზე იმყოფებოდნენ, სადაც მათ დაღუპულთა საფლავები გვირგვინით შეამკეს.

**— მინდა, მივუსამძიმრო დაღუპულთა ოჯახებს და მთელ საქართველოს. მსხვერპლი, რა თქმა უნდა, ომში იყო დიდი და ვერ მოხდა მისი თავიდან აცილება. ჩვენი მთავარი ამოცანაა, რომ მომავალში ამ ტიპის მსხვერპლი აღარ განმეორდეს, რადგან გმირი გვჭირდება ცოცხლებში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ჩვენი ხელისუფლებისთვის. მთავარია ისიც, რომ აღარ მივიდეთ ომამდე მომავალში, ამაში დაგვეხმარება ტალიავინის ანგარიში და ქვეყნის შიგნით მიმდინარე გამოძიებები. ჩვენ უნდა გავარკვიოთ, რატომ მოხდა ყველაფერი ეს, ვისზეა პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რასაც ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის მათი ანტიგმირები, ვინც ხელი შეუწყო ამ პროვოკაციაში ჩართვას და, რა თქმა უნდა, მომავალში აღარ უნდა დავუშვათ იგივე შეცდომები,** — განაცხადა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა.



იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოს მთავრობა ყველაფერს გააკეთებს, რომ ქვეყანა მშვიდობიანი გზით გამთლიანდეს.

**— ჩვენ დღეს პატივს მივაგებთ ჩვენს გმირებს, იმ გმირებს, რომლებიც ჩვენი ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში დაიღუპნენ. რა თქმა უნდა, ჩვენ თითოეული ქართველი ვაგრძელებთ იმ ბრძოლას, რომელშიც ისინი იყვნენ ჩართული. რაც შეეხება ჩვენი დაღუპული გმირების ოჯახებს, არა ერთ მათგანს ჯერ კიდევ არ აქვს ცხედარი და ეს არის კიდევ უფრო დიდი ტრაგედია. უნდა გაგრძელდეს და გრძელდება კიდეც ცხედრების იდენტიფიცირების პროცედურა,** — აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა.

**— ექვსი წელი გავიდა, მაგრამ ექვსი ასეული წელიც რომ გავიდეს, ამ ბიჭებს და მათ გმირობას ვერაფერი დაგვავიწყებს. ცხადია, ყველა კითხვას უნდა გაეცეს პასუხი, თუმცა, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ ბიჭების სისხლი ტყუილად არ დაღვრილა და ჩვენ აუცილებლად დავიბრუნებთ ჩვენს ძმებს და აღვადგენთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას,** — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის გიორგი მღებრიშვილის განცხადებით, ჩვენი ვალია, რომ დაღუპულთა გმირობამ ქვეყანა უკეთესობისკენ შეცვალოს.

საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნას მუხათგვერდის სასაფლაოზე პატივი მიაგეს საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმაც.

როგორც დეპუტატები აცხადებენ, დღეს ძალიან მძიმე დღეა ჩვენი ქვეყნისთვის. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ ასეთი სისხლისღვრა მომავალში აღარ უნდა განმეორდეს.

**— ამ ბიჭების საფლავები ძალიან მწარე გაკვეთილია ნებისმიერი ხელისუფლებისთვის, ყველა ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ თითოეული არასწორად გადადგმული ნაბიჯი, არასწორად ნათქვამი სიტყვა და არასწორად გატარებული პოლიტიკა ქვეყანას აზიანებს,** — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა დავით საგანელიძემ.

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი კომისიის თავმჯდომარის გიორგი ვოლსკის განცხადებით, დღეს გლოვის დღეა და სხვა არაფერი შეგვიძლია, თუ არა მივუსამძიმროთ ოჯახის წევრებს.

**— აქ არის რამდენიმე საფლავი, რომელიც სიმბოლურად არის შექმნილი. ოჯახის წევრები კიდევ ელოდებოდნენ, რომ შეიძლება დაკარგული ჯარისკაცები ცოცხლები ყოფილიყვნენ. ვფიქრობ, ამ საკითხებზე ჩვენ მოლაპარაკებები გვმართებს, ისევე როგორც გვქონდა მოლაპარაკებები და წარმატებით დავასრულეთ საკითხი აფხაზეთიდან ჩვენი მებრძოლების გადმოსვენებასთან დაკავშირებით,** — განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

# დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი ქართული სახელმწიფო მიმზიდველი გახდება ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისთვის

**ირაკლი ღარიბაშვილის განცხადება**

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ქვეყნის დეოკუპაციის გზად ევროპული სახელმწიფოს აშენებასა და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას ასახელებს.**

— ჩვენ მტკიცედ ვადგავართ ევროინტეგრაციის გზას, რომელიც შეუქცევადია. ჩვენ ვაშენებთ ევროპულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, რომელიც დიდი ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი უნდა გახდეს, და ამავე დროს, თანამიმდევრულ ნაბიჯებს ვდგამთ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისთვის. სწორედ ეს გზა მიგვიყვანს ჩვენი ქვეყნის დეოკუპაციამდე და გამთლიანებამდე. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ დემოკრატიული და ეკონომიკურად ძლიერი ქართული სახელმწიფო გახდება მიმზიდველი ჩვენი აფხაზი და ოსი ძმებისათვის. ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ აუცილებლად შევძლებთ ჩვენი ძმობის დაბრუნებას, თანხმობის მიღწევას და მშვიდობიან თანაცხოვრებას. მე ქედს ვიხრი ამ ომის მსხვერპლთა ხსოვნის წინაშე. პატივს მივაგებ ჩვენი გმირი ჯარისკაცების ხსოვნას, რომლებმაც თავი გაწირეს სამშობლოსათვის. მინდა, მადლობა ვუთხრა მათ ოჯახებს ასეთი მამულიშვილების აღზრდისათვის და დავარწმუნო, რომ სახელმწიფო ყოველთვის მათ გვერდით იქნება. მჯერა, ჩვენი თავდადებული მეომრების სახელები არასოდეს მიეცემა დავიწყებას. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა შეიარაღებულმა აგრესიამ შეიწირა ასეულობით ჩვენი თანამემამულის სიცოცხლე, დღეს ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, უამრავი ადამიანი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცა. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებთ იმისათვის, რომ დავძლიოთ ომის შედეგები და, აუნაზღაურებელი დანაკლისისა და მოუშუშებელი ტკივილის მიუხედავად, მომავლისკენ ვიყურებით. ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მშვიდობას არაფერი დაემუქროს ჩვენს ქვეყანაში. მშვიდობას ალტერნატივა არა აქვს, — ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

⊙ მითხარი, ვისთან მეგობრობ და...

# რა აშფოთებს კარლ ბილწ... უკაცრავად, ბილდტს?

**— ᲗᲣ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲡ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲛᲝᲣᲡᲛᲘᲜᲝᲡ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲡ, ᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ!**



**ეს შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კარლ ბილწ... უჰ, კიდევ ერთხელ უკაცრავად, ბილდტის სიტყვებია, რითაც იგი „ტვიტერზე“ გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს.**

რა უნდოდა ჩვენს პრემიერს კარლისგან (გვარი შეგნებულად არ ვახსენე, რათა კვლავ მოსაბოდიშებლად არ გამხდომოდა საქმე!)?

**„ეს არის სააკაშვილის მეგობართა კლუბი, რომელთაც აქვთ გარკვეული „მეგობრული“ ვალდებულებები და ისინი უბრალოდ თანაგრძნობას გამოხატავენ. მარტივად ასეა. მათ, სამწუხაროდ, არ იცოდნენ (თუ არ უნდოდათ, რომ სცოდნოდათ — „სრ“ რედ) ის საშინელებები, რაც ხდებოდა საქართველოში წლების განმავლობაში“...**

აი, ასე ახსნა ირაკლი ღარიბაშვილმა ის კრიტიკა, რაც მიხეილ სააკაშვილის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყების თაობაზე კარლმა (მის გვარს აწი ვერვინ წამომაცდენინებს!) და მისმა ლიტველმა კოლეგამ ლინას ლინკევიჩიუსმა გამოთქვეს.

**ᲐᲣჰ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲬᲐᲠᲔᲓ ᲒᲐᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ ᲙᲐᲠᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲐᲬ ᲣᲙᲕᲔ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲙᲘᲜᲙᲘᲚᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲝᲐᲖᲠᲔᲜᲘ!**

მე კი, პირადად, ერთი რამ მაინტერესებს: უთუოდ ანგარიშგასაწევი ქვეყნის — შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი უბრალო თანამდებობა სულაც არ არის და ამდენად მის პოზიცია-გამონათქვამებზე ვერვინ იტყვის, კუმ ფეხი გამოყოო, მაგრამ მაინც უნდა ვიკითხო: **შვედეთს ხომ ჰყავს სახელმწიფოს ფორმალური მეთაური — მეფე, ხომ ჰყავს პარლამენტი, რომელიც ირჩევს პრემიერ-მინისტრს, ხომ ჰყავს ვიცე-პრემიერებიც დარგების მიხედვით და ა. შ.?**

მართალია, საგარეო ურთიერთობებს კარლის უწყება განაგებს, მაგრამ, თუ მისი პოზიცია ქვეყნის პოზიციაა, ზემოთ დასახელებულნი ერთხელ მაინც არაფერს არ უნდა ამბობდნენ?

ამ შემთხვევაში სულაც არა, ძვირფასო კარლ, ერთი, ალბათ, შენთვისაც ნაცნობი ფრაზა მინდა შეგახსენო. **მითხარი, ვისთან მეგობრობ და გეტყვი, ვინცა ხარო!**

ამის გათვალისწინებით, შენ, რაკი მიშას მეგობარი ხარ, ჩვენთვის მეგობრად ვერ გამოდგები და ვერც შენი გამონათქვამებით ვიხელმძღვანელებთ!

და, რაც მთავარია, თუ ჩვენს ქვეყანას შვედეთში და, მით უფრო, ევროკავშირში, შენზე და ლინასზე უკეთესი, „საუკეთესო მეგობრები“ არ ჰყავანან, დავლუპულვართ და ისაა!

**და ბოლოს, რაკი, როგორც ამბობენ, გამინისტრებამდე მიშა-ნაციონალთა ლობისტურ კომპანიას ხელმძღვანელობდი (რა თქმა უნდა, არა ოდენ მათი ლამაზი თვალების გამო!), ამიტომ უნდა მივიღოთ უაპელაციოდ შენი, ამჯერად ბოდიშს არ მოგიხდი, ყოველგვარი „ნაადვოკატარი?**

წადი, გაიარე, კარლ, ოღონდ ფრთხილად, რამეს ფეხი არ წამოჰკრა!

კანონზე მაღლა, რაგინდ მაღალი და გრძელიც არ უნდა იყოს, ჩვენთან არავინ არ დგას!

**აი, უბრალოდ, ამ კურსს ადგას დემოკრატიისკენ მიმავალი საქართველო!**

**რუსლან რუსია**

**„თბილისის შემდეგ რუსთავი, ბათუმთან ერთად ქვეყნის უპირველესი სტრატეგიული ქალაქია, მეოცე საუკუნის საქართველოში ამაზე დიდი საქმე არ გაკეთებულა, რუსთავის აღორძინებით ქართულმა ენამ, ქვეყნის აღმოსავლეთით კვლავ დაიბრუნა თავისი სამკვიდრებელიო" — დიდმა კონსტანტინე გამსახურდიამ, ქართული სიტყვის დიდოსტატმა და ერის მოამაგემ, თავის კოლხურ კოშკში 1969 სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს, სხვადასხვა საყურადღებო, ბრძნულ გამონათქვამთან ერთად ამ დაუვიწყარი სიტყვებითაც დამასაჩუქრა. ბოლოს ისიც დასძინა: „რუსთავს გაფრთხილება სჭირდება, მარტო ხელისუფლებამ კი არა, მთელმა ერმა უნდა იზრუნოს, რომ სიჭაბუკის ქალაქი უფრო ძლიერი, ლამაზი გახდეს, შემოქმედებით გაიფურჩქნოს, ის ხომ დიდი შოთას საკალმისიც იყო".**

**ჭეშმარიტად ბრძენკაცის ამ მოსაფერებელ გამონათქვამს, თითქოსდა დამატება არ სჭირდება, მაგრამ მაინც...**



# რუსთავი ახალ რეალობათა მიჯნაზე

რუსთავი ისეთივე ძირძველია, როგორც მცხეთა, ქუთაისი, საგარეჯო... თუმცა, მათგან განსხვავებით, რუსთავი ყოველთვის პირველი ხვდებოდა ურიცხვ მტერს, საქართველოს თავს დატეხილ ყველა უბედურებას რუსთაველი მეციხოვნენი ეგებებოდნენ მოპირული ხალიბურებით, ათასი ჯარის ურდო და ზვავზვირთი აქ ენარცხებოდა და ჩვენი სამშობლოს ამ კარიბჭესთან იმსხვრეოდა.

ვინ ვინ და, დიდმა დავით აღმაშენებელმა კარგად უწყოდა რუსთავის უპირველეს ქალაქობა, ამადაც თბილისზე ადრე ჯერ აქედან განდევნა თურქსელჩუკები და მხოლოდ შემდგომ დაუბრუნა ქვეყანას დედაქალაქი.

ვაი რომ, მტერმაც უწყოდა რუსთავის მნიშვნელობა, მისთვის ამ წინააღმდეგობის გადალახვა ყოველთვის ურთულესი იყო, ამიტომაც ქართველთა მოძულე ბერქა ყაენმა 1265 წელს პირისგან მიწისა აღგავა იგი და **შემდგომ საუკუნეთა ჟამსა შინა მემატიანე ჰგოდებდა „აწცა ოხერ არსო".**

**რომ არა იოსებ სტალინის ნება და მისი მამულიშვილური გადაწყვეტილება, დღეს რუსთავი აღარ იარსებებდა, ხოლო საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თბილისთან, ზედ ფონიჭალაში იქნებოდა გავლებული.**

**ვერ ვიტყვი, იყო თუ არა სააკაშვილისა და მისი დანაშაულებრივი ხელისუფლების წინასწარ გამიზნული გეგმა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია — რუსთავი, საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი, სადაც მოქმედებდა ამიერკავკასიაში ერთადერთი სრული მეტალურგიული ციკლის კომბინატი, ქიმიური გიგანტები და კიდევ 40-ზე მეტი სამრეწველო საწარმო, სადაც 90 ათასი ადამიანი იყო დასაქმებული, შეიძლება ითქვას, პირწმინდად განადგურდა, ფაქტობრივად რუსთავი რჩება უფუნქციოდ, ქალაქში ტოტალური უმუშევრობაა და, რომ არა თბილისის სიახლოვე, როგორც ეს ქალაქის ახლად არჩეულმა მერმა გვითხრა, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი დატოვებდა აქაურობას.**

**— დიახ, ბატონო დავით, ძალიან მძიმე მემკვიდრეობა გვერგოთ. პირველი, შეიძლება ითქვას უპირველესი პრობლემა, ეს უმუშევრობაა, თქვენც კარგად ხედავთ, რა მდგომარეობაა, დავამატებ, კატასტროფული...**

— მე ფეხით შემოვიარე ყოფილი ქარხნების ადგილები, იმ ტერიტორიებზე მიახლოებაც კი შეუძლებელია, ყველგან ქვა-ღორღია, თვით ინფრასტრუქტურაც, მისასვლელი გზებიც განადგურებულია. ლარად გაყიდული უნიკალური ქარხნებიდან მილიარდებად ღირებული, უნიკალური აგრეგატები, მოწყობილობა-დანადგარები ჯართად გაიყიდა, თვით მეტალურგიული კომბინატიც, სადაც, სულ მცირე, 5 ათასი ადამიანი უნდა მუშაობდეს, სანახევროდ გაძარცულია, იქ უმძიმესი ვითარებაა. თუმცა, ჩვენ ფარ-ხმალს არ ვყრით, ჩემი გუნდი, მერია, საკრებულოს ახალ შემადგენლობასთან ერთად, მიზნად ვისახავთ, ავაღორძინოთ ქალაქი. ჯერ კიდევ არჩევნებამდე, მერის მოვალეობას რომ ვასრულებდი, შევიმუშავე პროგრამა, რომლის ხორცშესხმას დრო დასჭირდება, მაგრამ პერსპექტივა წარმატებულად გვესახება. უწინარესად მეტალურგიას უნდა შევუქმნათ საჭირო პირობები, მე უკვე შევხვდი ქარხნის ხელმძღვანელობას, თუ მათ სახელმწიფო მხარდაჭერა ექნებათ და, დიდი იმედია, ექნებათ, იქ რამდენიმე ათასი კაცი დასაქმდება. ჩვენი თანადგომა სჭირდება ვაგონშემკეთებელ ქარხანას, მომავალში იქ დამზადებული პროდუქცია არა მარტო კავკასიის რეგიონში, შუა აზიის ქვეყნებშიც ფართოდ გავა. უკვე გამოჩნდნენ ინვესტორები, ჩვენი ხელისუფლების, პირადად პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივას — „აწარმოე საქართველოში", მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდა, მიუხედავად ძარცვა-გლეჯისა, ნგრევისა, რუსთავს კვლავ შემორჩა საკმაო პოტენციალი ეს არის არსებული რესურსები, ინტელექტუალური ძალა, მაღალი პროფესიონალიზმი. მერიას არ ძალუძს უკანონოდ გასხვისებული სახელმწიფო ქონების დაბრუნება, მაგრამ მწარმოებლებს მოვუხსნით მძიმე ტვირთს, მათ არ ექნებათ დაყაჩაღების შიში, პირიქით, სახელმწიფო მათ დაეხმარება პრობლემების მოგვარებაში. ქვეყნის ხელისუფლებისგან, ეკონომიკის სამინისტროსგან ველოდებით ქმედით თანადგომას.

**— მით უმეტეს, როდესაც ასეთი ტოტალური უმუშევრობაა, როდესაც, როგორც თქვენ მითხარით, ქალაქის სკოლებს ყოველწლიურად 4000 მოსწავლე ამთავრებს, უმაღლეს სასწავლებელთა ათასობით კურსდამთავრებული ახალგაზრდა ვერ პოულობს სამსახურს. ისინი იძულებულნი არიან, დატოვონ ქალაქი და სხვაგან, მეტწილად უცხოეთში იხვეწებიან.**

— სამწუხაროდ, ეს რეალობაა, ამიტომ ქვეყნის ხელისუფლების თანადგომის იმედი გვაქვს. არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა, დღეს ქვეყანა ახალი რეალობის წინაშე დგას. ამიტომაც ახორციელებს სახელმწიფო ქმედითს ღონისძიებებს, იქმნება ახალი პროგრამები, შედეგი მალე თვალსაჩინო იქნება, პერსპექტივა არის, რასაც ახლო მომავალში ექნება შედეგი.

**— რუსთავი იყო რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ცენტრი, შემდეგ აქ კულტურულმა მოღვაწეობამაც ფართო გაქანება ჰპოვა, რად ღირს თუნდაც ანსამბლ „რუსთავის" წარმატებები როგორც ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. სახელმწიფო აკადემიური თეატრი დიდებული რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის თავკაცობით, აკი თეატრი მის სახელს ატარებს...**

— დიახ, კულტურისა და ხელოვნების სფეროშიც დიდი მიღწევები იყო, შესანიშნავი ტრადიციაც დამკვიდრდა. სამწუხაროდ, ბოლო წლებში აქაც მოვიკოჭლებთ. დღეს სურათი რადიკალურად იცვლება. თეატრალურ დასში საგრძნობი ცვლილებებია, გამორჩეულია ქალაქის მუსიკალური ცხოვრებაც, ამ სასწავლებლების პედაგოგებს გავუზარდეთ ხელფასები, ქალაქში მრავლდება მუსიკოს-შემსრულებელთა თაობები. არაერთმა ახალგაზრდამ თვალსაჩინო წარმატებით გაგვახარა. რუსთავს ჰყავს ჩინებული მწერლები, მხატვრები... სპორტსაც დიდ ყურადღებას ვუთმობთ. ვეცდებით, რომ ქვეყნის წარმატებას ცხოვრების ყველა სფეროში მხარი ავუბათ. ამას მარტო მერია და საკრებულო კი არ გააკეთებს, არამედ ყველანი ერთად. თითოეული მოქალაქის თანადგომითა და ძალისხმევით. შევქმენით ეგრეთ წოდებული მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანდნენ ცნობილი მოღვაწეები, მეცნიერები, ხელოვნების, მედიცინის და სხვა დარგის გამოცდილი მუშაკები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება დიდადაც წაგვადგება.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ სპორტს, გვყავს კიდევაც არაერთი წარმატებული, საერთაშორისო ასპარეზზე გამარჯვებული ჩემპიონი, თუმცა, აქაც ბევრია გასაკეთებელი. სპორტი უნდა იყოს ყველა ასაკისთვის საჯილდო, ჯანმრთელობის ჭეშმარიტი წყარო.

**— ბატონო დავით, მოგეხსენებათ, რუსთავი ნახევრად უდაბნოს ზონას განეკუთვნება. ამადაც პირველმშენებლებმა გამწვანებას მიჰყვეს ხელი. ქვეყნისთვის მძიმე წლებში, როდესაც არც გაზი იყო, არც შუქი, ნარგავები გაიჩეხა, სკვერები გამეჩხერდა. წინა წლებში კი რგავდნენ, მაგრამ ერთიც არ გახარებულა.**

— ჩვენ გამწვანების განსაკუთრებულ პროგრამას ვამუშავებთ, უკვე დავიწყეთ ცალკეული სკვერების გამწვანება, მაგრამ ქალაქი ითხოვს მასშტაბურ ღონისძიებას, ერთი სიტყვით, გასაკეთებელი ბევრია, არის ძალისხმევა, შემართება, თუმცა, ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

**გივი ჯახუა,**

**დავით კლდიაშვილის, სერგეი მესხის, საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიების ლაურეატი. დამსახურებული ჟურნალისტი.**

**P. S. ზემოთ ითქვა, მაგრამ არ შემიძლია, არ გავიმეორო, რუსთავის საჯარო სკოლა წელს 4 ათასზე მეტმა ქალიშვილმა და ჭაბუკმა დაამთავრა. ალბათ, სულ ცოტა ათასზე მეტი უმაღლესი განათლების დიპლომიანი შეემატა ქალაქს. აი, სამუშაო კი, დიდი-დიდი ორმა ათეულმა მოიძიოს. ასეა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ასე გაგრძელდება მომავალშიც, თუ რადიკალურად არ შეიცვლება ვითარება. ჰოდა, ამ შვიდიოდე ათეული წლის წინანდელი სიჭაბუკის ქალაქი ამჯერად მოხუცთა თავშესაფარად იქცევა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ეს მოხდეს, თორემ რუსთავს კიდევ ერთი სიკვდილი უწერია.**

**მე მჯერა, დავით ჯიქია, ახლად არჩეული საკრებულო ძალისხმევას არ დაიშურებენ ქალაქის ასაღორძინებლად. მაგრამ მათი მცდელობა საქმეს ვერ უშველის, თუ ქვეყნის ხელისუფლება რადიკალურ ზომებს არ მიიღებს და რუსთავს ქმედით დახმარებას არ აღმოუჩენს.**

**მე რუსთაველთა სახელით მინდა, მივმართო ქვეყნის პრემიერს: ბატონო ირაკლი, თქვენ როგორც მხსნელი, ისე მოევლინეთ ქვეყანას, თქვენი ენერგიული ქმედებები, კეთილშობილური, მამულის სიყვარულით გაჟღენთილი პოზიცია გვაძლევს იმედს, რომ რუსთავს და რუსთაველებს გვერდით დაუდგებით.**

**და კიდევ, წინა წლებში, საქართველოში ჩამოსული უმაღლესი რანგის სტუმარი პირველად რუსთავში მოჰყავდათ. ასე ესტუმრნენ ჩვენს ქალაქს ჯავარჰარლალ ნერუ, მისი ქალიშვილი ინდირა განდი, ირანის შაჰი ფეჰლევი, რომელი ერთი ჩამოვთვალო.. აი, ჩვენი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა კი, რამდენადაც მე ვიცი, თითქმის თავისი ორწლიანი მინისტრობის ჟამს ერთხელაც ვერ მოიცალა ჩვენი ქალაქის მოსანახულებლად.**

**გ. ჯ.**

**ომმა რაჭაში მოგვისწრო**

# ნათია ფანჯიკიძე იხსენებს...

**ნათია ფანჯიკიძე, თადაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მეუღლე: 8-ში რაჭაში ვიყავით მე, დედაჩემი, ჩემი შვილები და მათი მეგობრები. თვითმფრინავები ეზოში დაფრინავდნენ და ზოგჯერ ხეებს ედებოდნენ, ფოთლებს აცლიდნენ. ირაკლი ნიუ-იორკიდან გვირეკავდა. რა ვქნა, სარდაფში დავიმალოთ-მეთქი? როცა დაბლა არიან არაო, დაბლიდან არ დაგბომბავენო... მაღლა კი სულ იყვნენ. რაჭის გამჭვირვალე ჰაერში ისეთი გუგუნი ისმოდა, სარდაფიდან თავის გამოყოფას ვერ ვასწრებდით, ისევ დასამალი ვიყავით. და მაინც, იქაც მქონდა**



**ბედნიერების საფუძველი — ბავშვები არცერთხელ შიშს ისე არ აუტანია, რომ დედაჩემი დავიწყნოდათ, რომელიც ცხადია, სირბილით ვერ შევიდოდა სარდაფში. ვუყურებდი ჩემს შვილებს და მათ მეგობრებს და ვიყავი ამქვეყნად ყველაზე ამაყი.**

**აფხაზეთში რომ ომი დაიწყო, მაშინაც აგვისტო იყო და მაშინაც რაჭაში ვიყავი. დილას სამმა ადამიანმა, მე, ირაკლიმ და ჩემი ბიძაშვილის ქმარმა დაახლოებით ერთნაირი სიზმარი ვნახეთ. რატომღაც სამივემ გავუზიარეთ სიზმრის შინაარსი ერთმანეთს და სხვებსაც — ბევრი ხალხი, სისხლი და ჩოჩქოლი. ჩემი სიზმარი დღესაც ცხადად მახსოვს, — მე და ირაკლი დავდიოდით სიბნელეში და მიწას ვთხრიდით, რაღაცას (ვიღაცას) ვეძებდით.**

**წუხელ დამესიზმრა, თითქოს მომახარეს, ირაკლის მამაც ცოცხალი ყოფილაო, სულ სხვანაირადაა საქმე, მალე ყველაფერი გაირკვევაო. რა უცნაურია, ძილის წინ და არც ამ დღეებში ომზე არ მიფიქრია თითქოს, ერთადერთი რამდენჯერმე „კაზანტიპზე" გავიფიქრე, როგორ ყველგან ერთნაირია ადამიანი, როცა ჩვენთან სისხლის გუბეები იდგა, ზოგი დუბაიში გასამგზავრებელ რეისს ელოდა, ახლა, როცა ლამის მსოფლიო ომის საშიშროების წინაშე ვართ, უკრაინაშიც არსებობენ მხიარული ადამიანები, საჟრიამულოდ მზადმყოფი. ალბათ, ესეც თავდაცვაა, სტრესის დამარცხება მხიარულებით? თორემ რა დროს რიოს კარნავალია ერთი შეხედვით?**

ინტერპრესი

დრო და ადამიანები



# ირაკლი შიხიაშვილს გუბერნატორად არ ნიშნავენ!

**ყოფილი მინისტრების და მათი მოადგილეების ნაწილის სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშვნის შემდეგ, აქტუალური თბილისის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარის დასაქმების საკითხი გახდა. არაოფიციალური ინფორმაციით, ირაკლი შიხიაშვილს მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმა ქვემო ქართლის გუბერნატორის ვაკანტური პოსტი უკვე შესთავაზა. მედიასაშუალებების ნაწილი გუბერნატორის სავარაუდო მოადგილის შესახებაც წერს. კულუარულ ინფორმაციებზე დაყრდნობით ვრცელდება ინფორმაცია, რომ შიხიაშვილის გუბერნატორობის შემთხვევაში მისი მოადგილე საკრებულოს სარევიზიო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე მიხეილ ქავთარაძე გახდება.**

for.ge ირაკლი შიხიაშვილს დაუკავშირდა. ჩვენს კითხვაზე, ადასტურებს თუ არა ინფორმაციას ქვემო ქართლის გუბენატორის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, მან ასე უპასუხა:

**„ასეთი საუბარი მე არ მიყვარს, არასდროს ვაკეთებ წინასწარ განცხადებას. თუ ასე მოხდება და დამნიშნავენ, ხომ გაიგებთ. წინასწარ ამაზე საუბარი სასაცილოა. მე არ ვიცი, არ ვადასტურებ. არც ჰოს ვამბობ, არც — არას. წინასწარ არ გავაკეთებ კომენტარს, როცა გაირკვევა სიტუაცია, გაიგებს ყველა“.**

**ირაკლი შიხიაშვილი ჩვენთან საუბარში ცალკეული მედიასაშუალებებითა და „ფეისბუქით“ გავრცელებულ ინფორმაციასაც ეხმაურება, რომლის თანახმადაც, იგი მომავალი გუბერნატორის სტატუსით ქვემო ქართლში შეხვედრებს უკვე მართავს.**

**„ფეისბუქზე წავიკითხე, თითქოს, კულუარულ შეხვედრებს ვაწარმოებ რუსთავში. არ არის ეს ინფორმაცია მართალი. მინდა, იცოდეთ თქვენც და საზოგადოებამაც, ამჟამად ვარ სამეგრელოში, კერძოდ, ზუგდიდში. და, ბუნებრივია, ფიზიკურად ვერ ვიქნები ორ ადგილას ერთდროულად“,** — აცხადებს შიხიაშვილი.

კონკრეტულად, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილედ დანიშვნის შეთავაზებას არა, მაგრამ ახალი სამსახურის მოლოდინს ირიბად ადასტურებს თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე მიხეილ ქავთარაძე.

**„თუ ვინმეს დავჭირდები, არ ვიტყვი უარს შემოთავაზებაზე, არ დავჭირდები და სახლში ვიქნები. ქვემო ქართლში დანიშვნასთან დაკავშირებით ინფორმაცია ტყუილია. არ ვიცი, სად ვინიშნები, თორემ, გეტყოდით. ვნახოთ, გადაწყვეტენ მალე. არ დავიკარგები“,** — განუცხადა for.ge-ს მიხეილ ქავთარაძემ.

ქვემო ქართლის გუბერნატორის პოსტი ვაკანტური მას შემდეგ გახდა, რაც უწყების ხელმძღვანელმა გიორგი მღებრიშვილმა მინისტრთა კაბინეტში — სასჯელაღსრულების მინისტრის თანამდებობით გადაინაცვლა.

ვაკანტური ადგილის შიხიაშვილით შევსების შესახებ ინფორმაცია გაზეთმა „ქრონიკა+“-მა და „კომერსანტმა“ გაავრცელეს. მედიასაშუალებების ცნობით, ირაკლი შიხიაშვილის გუბერნატორად დანიშვნას კატეგორიულად ეწინააღმდეგება ვიცე-პრემიერი და ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე. **„შიხიაშვილის კანდიდატურა მთავრობას პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შესთავაზა. თუმცა, კანდიდატურას კახი კალაძის სახით მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. კალაძე ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრების ახალ მთავრობაში დანიშვნის წინააღმდეგია“,** — წერს საკუთარ წყაროზე დაყრდნობით „კომერსანტი“.

**2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის კოალიციის გამარჯვებამ პოლიტიკურ ძალთა ბალანსი თბილისის საკრებულოშიც შეცვალა. სწორედ, იმ პერიოდში დატოვა ირაკლი შიხიაშვილმა ნაციონალური მოძრაობა და „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა. მოგვიანებით კი მას „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის სტატუსით, თბილისის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელის თანამდებობა ჩააბარეს.**

ელენე აბესაძე

პრობლემა

# ვისთვის იქნება უფრო მტკივნეული „გაყრის“ პროცესი?

**1 სექტემბრიდან დაახლოებით 400 ათასი ადამიანი სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩაერთვება. საუბარია 5 წლამდე ასაკის ბავშვებზე, სტუდენტებზე, შშმ პირებსა და პენსიონერებზე. ეს მოქალაქეები აქამდე კერძო სადაზღვევო კომპანიების კლიენტები იყვნენ, დაზღვევის საფასურს კი სახელმწიფო უხდიდა. 1 სექტემრიდან სახელმწიფო ჯანდაცვის სერვისების ერთიანი გადამხდელი ხდება, პაციენტებს კი სამედიცინო დაწესებულებების თავისუფალი არჩევანის უფლება ექნებათ. რა ბედი ელით სადაზღვევო კომპანიებს და რა იცვლება მოქალაქეებისთვის?**

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის ზაზა სოფრომაძის განმარტებით, 1 სექტემბრიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართულ პირებს საშუალება ექნებათ, ექიმის რჩევით ან სერვისცენტრში ჯანმრთელობის ცნობის წარდგენის შემთხვევაში, თავად აირჩიონ კლინიკა, სადაც საგეგმო ან გადაუდებელი სამედიცინო სერვისის მიღებას ისურვებენ. საუბარია დაახლოებით 400 ათას ადამიანზე, რომელიც აქამდე სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამით სარგებლობდა:

**„1 სექტემბრიდან ყველა მოქალაქე, რომელიც სარგებლობდა კერძო სადაზღვევო კომპანიების მომსახურებით, ისარგებლებს უკვე სახელმწიფო მომსახურებით და ჩაერთვება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, მაგრამ ეს ჩართვა მოხდება იმ მენიუთი, იმ პაკეტით, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ მანამდე, ამ მხრივ მათ არანაირი ცვლილება არ ემუქრებათ. არის სასიამოვნო სიახლეც: ისინი ისარგებლებენ ორი შეღავათით. პირველი გახლავთ ის, რომ თუ აქამდე კერძო სადაზღვევო კომპანიებს საგეგმო ოპერაციების დროს მოქალაქეები შეიძლება ჩაეყენებინათ მოცდის რეჟიმში, რაც რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა, ხშირად 4-6 თვემდე, 1 სექტემბრიდან მოცდის რეჟიმი იქნება მაქსიმუმ ორი თვე“.**

**საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში 400 ათასი ადამიანი ჩაერთვება**

განვმარტოთ, რომ აქამდე ჯანდაცვის სერვისებზე უნივერსალური წვდომა მოსახლეობისთვის სამი ინსტრუმენტით იყო შესაძლებელი — ეს იყო სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამები და, ჯამში, ამ პროგრამით დაზღვეული იყო 1 მლნ 600 ათასი ადამიანი, და 500 ათასი მოქალაქე იყო დაზღვეული არა სახელმწიფო, არამედ კერძო სადაზღვევო პროგრამებით და დანარჩენს მთავრობა ემსახურებოდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. ზაზა სოფრომაძის თქმით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში ჩართვის შემდეგ ამ მოქალაქეებს შეუნარჩუნდებათ ის სადაზღვევო პაკეტი, რომლითაც სარგებლობდნენ, თუმცა, მათ შეუძლიათ დამატებით მომსახურებისთვის ისევ კერძო სადაზღვევო კომპანიებს მიმართონ, ამის ნაკლები იმედი და მოლოდინი აქვს სპეცილისტს ჯანდაცვის საკითხებში კაკი ზოიძეს. მისი თქმით, ნაკლებ სავარაუდოა, პენსიონერებმა, სოციალურად დაუცველებმა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულზე მეტი მომსახურების პაკეტი შეიძინონ, მით უფრო, თუ მათ კერძო კომპანიებთან საქმე საერთოდ აღარ ექნებათ. თუმცა, კაკი ზოიძის თქმით ასევე შეიძლება ითქვას, რომ ამ ადამიანებისთვის პრინციპულად არაფერი იცვლება მომსახურების თვალსაზრისით. მათ სამედიცინო მომსახურებაზე ახლა კერძო კომპანიის ნაცვლად სახელმწიფო იზრუნებს, ანუ იცვლება ოპერატორი, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ საავადმყოფოების უმეტესობა სადაზღვევო კომპანიების მფლობელობაშია, კაკი ზოიძე თეორიულად მომსახურების ფასის ზრდას არ გამორიცხავს: **„აი, მანდ უკვე შეიძლება სხვანაირი მოტივაციები გაუჩნდეთ სადაზღვევო კომპანიებს — მათ, რომლებიც სამედიცინო დაწესებულებების მფლობელები არიან, შეიძლება მომსახურების ხარისხი გააუარესონ ან მომსახურების ღირებულებას მოუმატონ, ანუ თეორიულად შეიძლება ეს პრობლემა იყოს“.**

კაკი ზოიძის თქმით, იდეალური იქნებოდა პაკეტის გაფართოება და წამლების დამატება — განსაკუთრებით, ქრონიკული ავადმყოფებისთვის.

**„სადაზღვევო კომპანიებისა და მთავრობის შორის გაყრას“ უწოდებს საქართველოს სადაზღვევო ასოციაციების თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი იმ პროცესს, რომელიც 1 სექტემრიდან დაიწყება, და ეს იქნება ძალზე მტკივნეული პროცესი სადაზღვევო კომპანიებისთვის. დევი ხეჩინაშვილი ანაზღაურებასთან დაკავშირებით სახელმწიფოსა და საავადმყოფოებს შორის თანამშრომლობაზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ შესაძლოა, გარკვეული ფინანსური შეფერხებები დადგეს დღის წესრიგში, რაც აქამდე სრულად იყო აღმოფხვრილი.**

**„არის რეალური პრობლემები ამ განქორწინების პროცესში და არის ის, თუ როგორ იმოქმედებს ეს ყველაფერი კერძო ბაზრის განვითარებაზე. ჩვენ ვიქნებით მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც იქნება თითქმის ექსკლუზიური ერთიანი გადამხდელი სახელმწიფო დაფინანსებაში და თითქმის მთლიანად კერძო ამბულატორიული და ჰოსპიტალური სექტორი და ეს ძალინ საშიში მდგომარეობაა თავისთავად, იმიტომ რომ, როგორც ყველგან მსოფლიოში, სახელმწიფო „ერთიან გადამხდელს“ ყოველთვის აქვს დეფიციტი და, ბუნებრივია, რომ ეცდება დეფიციტის გადატანას თავის ჰოსპიტალურ პარტნიორებზე. უბრალოდ, იქ - მაგალითად, პოლონეთში, ჩეხეთში და ა.შ. — ჰოსპიტალიც სახელმწიფოა და გადამხდელიც სახელმწიფოა“.**

„ეკონომიკური განვითარების ცენტრის“ ხელმძღვანელის რომან გოცირიძის თქმით, სახელმწიფო იმგვარ ვალდებულებებს იღებს თავის თავზე, რომლის ფინანსური რესურსიც არ გააჩნია: **„არ აქვს ბიუჯეტს ამის თანხები. დღეს ბიუჯეტს შემოსავლების 18 პროცენტი აქვს აღებული ვალებით. აქედან დაახლოებით 800 მილიონი ქართული კომერციული ბანკებიდან ე.წ სახაზინო ვალდებულებების განთავსებით და თითქმის 1 მილიარდი უცხოური საგარეო ვალით“.**

სპეციალისტთა აზრით, **კიდევ ერთი საკითხია მომსახურების ხარისხი, თუმცა, ამაზე საუბარს პროცესის დაძვრის შემდეგ ამჯობინებენ.**

ნინო ხარაძე,
რადიო „თავისუფლება“

ალიანჩალიანი

## რუსეთის ფედერაციაში 6 156 ტონა ქართული პროდუქცია გაიყიდა

**მიმდინარე წელს, იანვრიდან ივლისის ჩათვლით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან (გურია, იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი , აჭარა, თბილისი) რუსეთის ფედერაციაში ექსპორტირებულია 2258 ტონა ხილი, 80 ტონამდე ბოსტნეული, 2567 ტონა ციტრუსი, 188 ტონა ჩაი, 1062 ტონა დაფნის ფოთოლი, 1 ტონა ხმელი სუნელი.**

**ინფორმაციას ამის შესახებ სურსათის ეროვნული სააგენტო ავრცელებს.**

**სააგენტოს ცნობით, რუსეთის ბაზარზე გაიყიდა მოცვი, ჩაი, თხილი, მანდარინი, ლიმონი, ხილის ჩაი, მანდარინის კონცენტრირებული წვენი, ხილის ნატურალური წვენი, პომიდორი, დაფნის ფოთოლი, უცხო სუნელი, საადრეო კარტოფილი, ვაშლი, ბალი, ვაშლატამა და ატამი. რუსეთის ფედერაციაში კვლავ მიმდინარეობს ქართული ატმისა და ვაშლატამას ექსპორტი.**

**„ექსპორტიორებს საშუალება აქვთ, გამარტივებული პირობებით აიღონ ექსპორტის განსახორციელებლად საჭირო ყველა დოკუმენტაცია, მათ შორის, ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, რომელიც დაადასტურებს, რომ პროდუქცია არ შეიცავს საკარანტინო მავნებლებსა და დაავადებებს. სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები რჩებიან რეგიონებში და აგრძელებენ საექსპორტო ტვირთების ფიტოსანიტარიულ კონტროლს, რის შემდეგაც გასცემენ შესაბამის სერტიფიკატს, — ნათქვამია სააგენტოს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.**

## ვალერი გელაშვილი მატერიალური ზარალის ანაზღაურებას მოითხოვს

**საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ვალერი გელაშვილი მატერიალური ზარალის ანაზღაურების მიზნით სასამართლოში ჩივილს აპირებს. ამის შესახებ გელაშვილმა ჟურნალისტებთან ქუთაისის აეროპორტში განუცხადა, სადაც ვილნიუსიდან ჩაფრინდა.**

**მისი თქმით, წინა ხელისუფლების დროს უკანონოდ ჩამოართვეს ქონება, რომლის დაბრუნებასაც გეგმავს.**

**„მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, ვაპირებ მივმართო სასამართლოს, თუმცა ჯერ დასრულდეს ის პროცესები, რომელიც დაწყებულია. მე დღეს დავრბუნდი საქართველოში და ამას ვერავინ ვერ დამიშლის. ვაპატიე იმ სპეცრაზმელებს, რომლებიც ჩემს ცემაში მონაწილეობდნენ, რადგან მათ დავალება ჰქონდათ თანამდებობის პირებისგან მიცემული“, — განაცხადა გელაშვილმა.**

**ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს ბრალი 5 აგვისტოს წაუყენეს. ამ საქმეზე სააკაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაც შეუფარდეს.**

ინტერპრესი

**არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ კარგა ხანია მსოფლიოს ერთი დღეც არ გათენებია საომარი მოქმედებების გარეშე. ხან ავღანეთის პერმანენტული ომი იქცევს ჩვენს ყურადღებას, ხან ახლო აღმოსავლეთის განუწყვეტელი სისხლიანი დაპირისპირება ებრაელებსა და პალესტინელ არაბებში, ხან ერაყის, ლიბიის, სირიის, ახლა კი უკრაინის ომები, რომლებშიც ათასობით მეომარი იღებს მონაწილეობას.**

ომი იოლად იწყება და ძნელად მთავრდება, ვინაიდან, როგორც ამბობენ, ერთობ მიმზიდველია. ზოგიერთებში ომი მწვავე შეგრძნებას იწვევს, მე ვიტყოდი, უაღრესად მწვავეს ისეთს, როდესაც უფსკრულის პირას ხარ, სიცოცხლისა და სიკვდილის ძგიდესთან, როდესაც რისკავ საკუთარ თავს. მწვავე განცდების მსურველთა რიცხვს რა დალევს. გამოცდილი მეომრები ამბობენ — ომში არა მარტო ფულისთვის, არამედ ადრენალინისთვისაც მიდიან.

ომი იწვევს კოლექტიურობის შეგრძნებას, გარდა ამის, შეგრძნებას სამართლიანობისთვის ბრძოლისა. ხშირად ის ავსებს მეომარს ნაციონალური სიამაყის გრძნობით, რაც თავისთავად წინა პლანზე აყენებს გმირობას.

ომი ისაა, რაც იძლევა შანსს დაამტკიცო, რომ შენ ხარ რაღაც ღირებული. დაამტკიცო შენი „მე“ ოჯახის, ქალაქის, ქვეყნის, ხალხის წინაშე. ამ გაგებით, ომი ერთობ ადამიანური რამ არის, ვინაიდან ის ეხმარება ადამიანს, იგრძნოს თავი ადამიანად, რამეთუ ადამიანის თვისებაა საკუთარი თავის დაძლევა, იმაზე მეტის შეფასება, ვიდრე თვით არის. საკუთარ თავზე ამაღლება.

ომი იძლევა მსგავსი შეგრძნების გაღვივების შანსს. ომი სხვა შანსსაც იძლევა, მაგალითად, გადაუჭრელი პრობლემების მივიწყების, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხელისუფლებისთვის და იქ მოკალათებული არამზადებისთვის.

ომს უდიდესი მოგება მოაქვს იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ომზე მუშაობენ. როგორც ამბობენ, უკრაინელმა კალამოისკიმ უკრაინის ომით საკუთარ მილიარდებს, ქვეყნის მილიარდებიც მიუმატა.

ომი ეხმარება პოლიტიკოსებს რეიტინგების ზრდაში. ყველა მათგანს ომთან დაკავშირებით საკუთარი სიმართლე გააჩნია. 2008 წლის აგვისტოს, საქართველოს ხელისუფლებასა და პრეზიდენტ სააკაშვილს საკუთარი ხედვა ჰქონდათ ომის გაჩაღებასთან დაკავშირებით. უმთავრესად ეს იყო ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, შემოერთებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის გავრცელება.

სააკაშვილმა დაიწყო ომი, რაც მას, ზოგიერთ ქართველში, პატრიოტად წარმოაჩენს. დაიწყო და დამარცხდა. მერე რა, ვის არ მოსვლია ასეთი რამ?! მსოფლიო ისტორიაში არაერთ მხედარმთავარს წამოუწყია ომი, დამარცხებულა. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მარტო ნაპოლეონი ან ჰიტლერი რად ღირან?

სააკაშვილის ნაცები და გულშემატკივრები რომ მარტო ამ ვერსიას აწვებოდნენ — „დაიწყო და დამარცხდა“, საზოგადოებაში უფრო მეტ სიმპატიას მოიპოვებდნენ — საქართველოსთვის იბრძოლაო, იტყოდნენ.

მაგრამ, როდესაც მართლაც სააკაშვილმა დაიწყო ომი, დამარცხდა და შემდეგ სხვას დაუწყო დადანაშაულება, ხალხმა ის პატრიოტად არ მიიჩნია.

თავის მართლებამ ვითარება ძირფესვიანად შეცვალა. სააკაშვილმა დაკარგა პატრიოტის სახელი, რომელიც ცდილობდა ომით ქვეყნის მთლიანობის აღდგენას. პატრიოტის სახელის დაკარგვისთანავე მან შეიქმნა მატყუარას, ცილისმწამებლის, მშიშარა მთავარსარდლის სახელი (მარტო ჰალსტუხის ღეჭვა და გორთან მიწაზე ხოხიალი რად ღირს).

ნაცვლად იმისა, რომ დამარცხებულ მთავარსარდალს დამარცხება ეღიარებინა და უარი ეთქვა პრეზიდენტობაზე, მან, ცრუ პროპაგანდით, ხალხი გამოიყვანა ქუჩაში, პარლამენტის შენობის წინ და საკუთარი თავის გადასარჩენი შოუ მოაწყო.

პროპაგანდისტულმა მანქანამ ცხინვალის ომში დამარცხება გამარჯვებად მონათლა. მსოფლიოს ისტორიაში დამარცხებული ქვეყნის მიერ წაგებული ომის, მოგებულად გამოცხადება, პირველად მოხდა. პირველად მოხდა ისიც - ომის დაწყება, რომ სხვას დაბრალდა, ამ შემთხვევაში რუსეთს.

რამდენი სატელევიზიო ფილმი მიეძღვნა ამ თემას, ვინ იცის. ერთ-ერთი ჩაგელიშვილისეული ახლახანს ვიხილეთ. რამდენი სტატია, ბროშურა მიეძღვნა ომის დაწყებას. ყველა მათგანის მიზანი ისაა, დაარწმუნოს საზოგადოება, შინაური და გარეული, რომ ომი საქართველოს არ დაუწყია; რომ, თუ საქართველომ სასხლეტს თითი გამოჰკრა, იძულებული იყო, ვინაიდან ველარ აიტანა იქითა მხრიდან გამუდმებული პროვოკაციები, დაბომბვები, თავდასხმები.

არადა კონფლიქტის ზონაში მყოფი ეუთოს დამკვირვებლები დაბეჯითებით ამტკიცებდნენ, რომ 7 აგვისტომდე იქითა მხრიდან არავითარ პროვოკაციას არ ჰქონია ადგილი. დამკვირვებლები სააკაშვილის და ზოგიერთი ამერიკული პოლიტიკური ჯგუფის მიერ დამნაშავეებად იქნენ შერაცხულნი და დათხოვნილი სამუშაოდან.

2008 წლის ომი შეისწავლა და შეაფასა საერთაშორისო კომისიამ. მისი მიხედვით, დამნაშავე სააკაშვილია, ცხადია სხვა ნაცებთან ერთად. არის თუ არა საჭირო სხვა გამოძიება? ალბათ არა! ვინაიდან დამნაშავე ცნობილია — მას სააკაშვილი ჰქვია. და რახან დამნაშავე ცნობილია, საჭიროა მისი დასჯა.

## ამას ვერასოდეს დავივიწყებთ!



## ომში, ყველას თავისი სიმართლე აქვს

ექვსი წელიწადი გავიდა იმ აგვისტოდან ამ აგვისტომდე, დასჯილი არავინაა — რომ იტყვიან „კრება დარჩა მხიარული“. დამნაშავე სააკაშვილისთვის სხვა დანაშაულებს შორის, აგვისტოს ომის გაჩაღება მთავარი დანაშაულია, ისეთი, რომლის გამოსწორება შეუძლებელია, ამდენად, დამნაშავე სამუდამო პატიმრობას იმსახურებს.

მეოცე საუკუნის ისტორიაშიც, წინა საუკუნეებზე რომ არაფერი ვთქვათ, სააკაშვილის მიერ ჩადენილი მსგავსი დანაშაულისთვის, სხვადასხვა ქვეყნის მმართველებმა პასუხი აგეს (არგენტინის პრეზიდენტი, საბერძნეთის სამხედრო ხუნტა და სხვა). ჩვენ კი რასა ვიქმთ? — გამამართლებელ ფილმებსაც ვიღებთ, სტატიებსაც ვაქვეყნებთ, წიგნებსაც ვწერთ, რითაც საჯაროდ ვამტკიცებთ ჩვენს „სიწმინდეს“.

ჩაგელიშვილის ფილმში უხვადაა სააკაშვილ-ვაშაძის ყალბი მოგონებები მოსკოვში მაღალ დონეზე გამართულ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით. თუ სააკაშვილის არაფერი გვჯერა, რატომ ვიჯერებთ პუტინთან მოლაპარაკების ნალაყბებს?!

იქნებ ჩვენი ბრალიც არ არის, რომ სხვას ვადანაშაულებთ? იქნებ ვიღაც გვკარნახობს, რომ ასე მოვიქცეთ? ესოდენ თავდაჯერებული ტყუილი არა მარტო ჩვენ გვარწმუნებს, რომ მართლები ვართ, სხვასაც ხელს კრავს — იფიქროს ასე. მაგალითად, უკრაინის მოვლენების მოყვანა ღირს. უკრაინამ ბევრი რამ გამოამზეურა და ანალიზის უნარის მქონე ადამიანს აფიქრებინა, რა უბედურებას გადაურჩა საქართველო.

და კიდევ ერთი რამ, როდესაც ქვეყანას თავს ესხმიან, ისიც შესაბამისად რეაგირებს — პრეზიდენტის საჯარო გამოსვლით, უცხოელ კორესპონდენტებთან ბრიფინგის გამართვით, საერთაშორისო ტრიბუნის გამოყენებით. ასეთი საერთაშორისო ტრიბუნა გაეროს უშიშროების საბჭოა.

მეხსიერებას არ შემორჩა, გაეროში საქართველოს წარმომადგენლის ალასანიას მიერ დაჟინებული მოთხოვნით გამართული უშიშროების საბჭოს სხდომა. რას დავაბრალოთ ეს — უცოდინარობას, თუ გამიზნულ თვალის დახუჭვას?

პირიქით, მახსოვს რუსეთის წარმომადგენლის ჩურკინის მოთხოვნით გამართული სხდომა, რომელზეც მან დაგმო აგრესია და მოითხოვა საომარი მოქმედების შეწყვეტა. ჩურკინი მარტო აღმოჩნდა, მისი მოწოდება არავინ გაიზიარა, მათ შორის არც საქართველოს წარმომადგენელმა ალასანიამ.

რით იყო გამოწვეული ესოდენ დიდი ერთსულოვნება? იმით ხომ არა, რომ ომის დასაწყისში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს და შეტევის შეჩერების შემთხვევაში წერტილი დაესმებოდა ამერიკულ გეგმას?

უკრაინის მაგალითი. რახანია რუსეთი მოუწოდებს აშშ-ს და დასავლეთს, შეაწყვეტინონ ომი კიევს, აღმოსავლეთ უკრაინაში. რახანია ჩურკინი მოითხოვს თუნდაც ჰუმანიტარული დერეფნის შექმნას დონეცკისა და ლუგანსკისთვის, მაგრამ უშედეგოდ.

დასავლეთს თვალი დაებინდა აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე სადამსჯელო ომის მიმართ. მას სურს დონეცკისა და ლუგანსკის მოგუდვა, პრორუსი მოსახლეობისგან განთავისუფლება, მათი ლტოლვილებად ან ცხედრებად ქცევა. საკმარისი იქნება მეამბოხეთა მხრიდან შეტევაზე გადასვლა, უკრაინის ჯარის უკან დახევა, რომ ამერიკელებმა სასწრაფოდ მოაწვევინონ უშიშროების საბჭოს სხდომა, ერთი მოთხოვნით — შეწყდეს ომი!

ომში ყველას თავისი სიმართლე აქვს. ქართულ მხარეს ჰქონდა ასეთი 2008 წლის 7-8 აგვისტოს. ის იბრძოდა ქვეყნის გამთლიანებისთვის. ანალოგიური ვითარებაა უკრაინაშიც, სადაც ამბოხებულები იბრძვიან დამოუკიდებლობისთვის, საკუთარი ტერიტორიის დამოუკიდებლად მართვისთვის, საკუთარი ეროვნული სიამაყისთვის და კიევის იმპერიული ზრახვების საწინააღმდეგოდ.

უკრაინელი ჯარისკაცი დარწმუნებულია, რომ იბრძვის ქვეყნის მთლიანობისთვის, ქვეყნის თავისუფლებისა და სუვერენიტეტისთვის, რუსეთის იმპერიული წნეხის საწინააღმდეგოდ.

ომი ხსნის პასუხისმგებლობას. კონფლიქტში მონაწილე არც ერთი მხარე არ იღებს პასუხისმგებლობას იმაზე, რაც ხდება.

ომს, თავისი ხიბლი აქვს, ამიტომაცაა, რომ ხალხი ომობს. სხვაგვარად რომ იყოს, გაადვილდებოდა ომის შეჩერება.

და მიუხედავად თავისებური ხიბლისა, ომი საშინელებაა, მსხვერპლით, ნგრევით, დამახინჯებული ფსიქიკით. რაც უფრო ღრმად ტოპავს ადამიანი ომში, მით უფრო ჭირს ომის უბედურებების დავიწყება. ა.წ. 7 აგვისტოს ცხინვალელები იხსენებდნენ რა ომს, ამბობდნენ: „ამას ვერასდროს დავივიწყებთო“.

რა შეიძლება ჩაითვალოს გამომაფხიზლებელ ფაქტორად.ალბათ ის, ომის სიმწარე, რომ გადააჭარბებს ომით მოპოვებულ ტკბობას; როდესაც მწუხრი, გადაწონის შურისძიებას.; როდესაც საზოგადოება აღარ ისურვებს ომის შედეგად მიღებულ გმირობას; როდესაც ომის მიერ მოტანილ მაცდუნებელ ხიბლს, ადამიანი ილუზიად ჩათვლის; როდესაც ომით მოპოვებულ ტკივილს, ახალი ტკივილის მომასწავლებლად მიიჩნევს.

პლატონმა თქვა: „ომი მაშინ დამთავრდება, როდესაც ბოლო ჯარისკაცი დაიკრძალება“. მაგრამ მოხდება კი ეს ოდესმე?

ომი არასდროს დამთავრდება. ის შეიძლება დროებით შეწყდეს, ისე, როგორც ისრაელსა და ღაზას სექტორს შორის.

უკრაინის კრიზისმა ნათელჰყო ზრახვები, რომლებსაც აღმოსავლეთ ევროპაში სამხედრო ძალების და შეიარაღების გაზრდა ჰქვია. რამხელა მოგებაა ჩადებული ამ უბრალო ფრაზაში. მოგება, რომელიც ავანსად თვალს უბრმავებს სამხედრო ბიზნესს. და როდესაც მოგებასთან გვაქვს საქმე, დაივიწყებს ვინმე ომს?



**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

ცხოვრების გაკვეთილები



# სიბერე დასასრული არ არის

**„რაოდენ გულდასაწყვეტია, რომ ზოგიერთი თევზის სახეობა, კუ და ყვავი 200-300 წელიწადს ცხოვრობს (ეტყობა, მათ სიცოცხლისთვის უკეთესი პირობები აქვთ), ადამიანი კი, საშუალოდ, 70-80 წელს. მაგრამ მეცნიერები ინტენსიურად მუშაობენ სიცოცხლის გახანგრძლივების პრობლემებზე და დამაიმედებელი პროგნოზებიც არსებობს. იმედია, ასრულდება ადამიანების საუკუნო ოცნება და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 100-125 წელი გახდება, თუ ადამიანი სწორად დაგეგმილი ცხოვრების რიტმით იცხოვრებს.**

ამ მაჟორულ ნოტაზე მინდა, დაგემშვიდობოთ და ხანგრძლივი, ჯანმრთელი, აქტიური და ბედნიერი სიცოცხლე გისურვოთ. კარგად ბრძანდებოდეთ". **ზაირა ორჯონიკიძე;** მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.

ასე დაემშვიდობა თავის სტატიაში ქალბატონი ზაირა გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ორგანიზებული კონკურსის **„დაბერება საქართველოში"** ჟიურის წევრებს, მაგრამ მაშინ ნამდვილად ვერ იფიქრებდა, თუ მათთან შეხვედრა ისევ მოუწევდა, როგორც გამარჯვებული თხზულების ავტორს.

* * *

ჩვენ კი, პირიქით, ამ მაჟორულ ნოტაზე ვიწყებთ.

ვერ წარმომედგინა, თუ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე არცთუ სასურველი მოვლენების ფონზე, ადვილი იქნებოდა ისეთი მხცოვანი ადამიანის პოვნა, რომელიც თავისი ფიქრებით პოზიტიურ და ამასთანავე ოპტიმისტურ ემოციებს შექმნიდა, მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, ასეთი ადამიანები თურმე არსებობენ...

რამდენიმე თვის წინათ დაიწყო კონკურსი თემაზე: „დაბერება საქართველოში", რომელშიც მონაწილეობა მიიღო 40-ზე მეტმა პენსიონერმა. ამ ნაშრომებში მათ უპასუხეს კითხვებს, თუ რას ნიშნავს დაბერება საქართველოში, რომელია ცხოვრებისგან მიღებული გაკვეთილები, როგორ რჩევებს მისცემდნენ ახალგაზრდებს, რას შეცვლიდნენ საქართველოში დაბერების პოლიტიკასთან დაკავშირებით და ა. შ. კონკურსი ჩატარდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის ინიციატივით და გაეროს მოსახლეობის (UNFPA) საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით.

80 წლის ზაირა ორჯონიკიძემ ამ კონკურსში გაიმარჯვა და სერტიფიკატთან ერთად ფულადი პრიზიც დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ მან შარშან ასევე გამოსცა მემუარები — „რა გზაც გამოვიარე". ამაზეც მოსწრებულად ხუმრობს ხოლმე, ამ ასაკში გოეთემ „ფაუსტი" დაწერა, მე კი მემუარებიო.

ქალბატონი ზაირა გვარწმუნებს, რომ სიბერე დასასრული არ არის. სწორედ ასეთი სათაური აქვს თხზულებასაც, სადაც ბევრ საინტერესო და ამასთანვე სასიამოვნო პასაჟზე ამახვილებს ყურადღებას: **„ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე გაივლის განვითარების სხვადასხვა ეტაპს: ბავშვობა პუბერტატული ანუ სქესობრივი მომწიფების პერიოდი და „ცხოვრების მესამე წელიწადი". ცხოვრების მესამე წელიწადი, ანუ ადამიანის ცხოვრების შემოდგომა იწყება 40-45 წლიდან. ამ დროს ორგანიზმში მიმდინარეობს ინევოლუციის, ანუ უკუგანვითარების პროცესი. უმრავლესობა მას მტკივნეულად აღიქვამს, მძიმედ გადააქვს, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ეს იყო საუკეთესო პერიოდი.**

**ეს ის პერიოდია, როცა საკმაოდ დიდი გამოცდილება და ცოდნა გაქვს. უკვე ხარ პროფესიონალი. დაოსტატებას ისევ განაგრძობ, მაგრამ გამოცდილებას სხვასაც უზიარებ. შენ საჭირო ადამიანი ხარ, ეხმარები, ასწავლი, დაგროვილი ცოდნის გამო საინტერესო მოსაუბრე ხარ, გისმენენ, გეკითხებიან... გემოვნებაც ჩამოყალიბებული გაქვს. იცი, რა გიხდება, რა არის შენთვის შესაფერისი, რათა უკეთესად წარმოჩინდე.**

**მე უნდა მივმართო ქალბატონებს! თუ ამ პერიოდს უახლოვდებით, ან ამ პერიოდში ხართ, არ დაიდარდოთ, ყველაფერი თქვენს ხელშია".**

ქალბატონი ზაირა საუბრობს სიბერეზე — როგორც ბუნებრივად გარდაუვალ პროცესზე, მაგრამ ასევე აღნიშნავს, რომ ემოციები, გრძნობები, კვება, გარემო ფაქტორები აფერხებენ ამ პროცესს, თუ რა თქმა უნდა, სწორად იქნება მართული. **„ახალგაზრდებს მინდა, ვურჩიო, რომ სიბერეზე ახალგაზრდობიდან უნდა იზრუნონ, რაც ნიშნავს ჯანმრთელი ცხოვრების წესით ცხოვრებას და მავნე ჩვევებზე უარის თქმას...**

**ამ ბოლო დროს მეცნიერებმა ასეთი დასკვნა დადეს, სიკეთის მქნელი ადამიანები უფრო ხანგრძლივად ცხოვრობენო — აკეთეთ სიკეთე!"**

ალბათ, ამიტომაც მოიხიბლნენ ჟენევული ჟიურის წევრები ქართველი პენსიონერის ნაფიქრალით და ჯილდოც არ დაიშურეს. ბედნიერია ქალბატონი ზაირა, რომელმაც მთელი თავისი გრძნობები გულწრფელად გადმოიტანა ქაღალდზე და დაუფასდა კიდეც. მადლობას უხდის გაეროს მოსახლეობის ფონდს და მის ყველა თანამშრომელს იმისთვის, რომ აინტერესებთ ასაკოვანი ადამიანების ბედი, მათი აზრი, ცხოვრებისეული გამოცდილება; და ასე შეიძლება მართლაც შეიქმნას ქვეყანაში ყველა რესურსი საიმისოდ, რომ საამური იყოს სიბერე!!!

**თეა მოსია**

**სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ვივიენ ბრუნი, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის პროექტის მენეჯერი; ვიტალია გაუკაიტე, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მოსახლეობის განყოფილების უფროსი; ზაირა ორჯონიკიძე, კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებული; ლეილა ბაქრაძე, გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი; ქეთევან გოგინაშვილი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფროსი სპეციალისტი.**

თავისუფალი კონკურენცია

# ტირილი მონოპოლისტების „ქორწილში"...

**ანტიმონოპოლიური სამსახური, რომელიც ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ მიწასთან გაასწორა, შემოდგომიდან ამოქმედდება. შესაბამისი კანონმდებლობის მიღებას, უფრო სწორად კი, ძველის ფუნდამენტურად შეკეთებას დიდი ხანი ველოდით. ახლა ეს საკანონმდებლო საძირკველი ბევრს ის ფუნდამენტი ჰგონია, რომელზეც ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობის ძლევამოსილი გოდოლი წამოიმართება. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტო ბაზარზე არსებულ მდგომარეობას რეალურად ვერ შეცვლის, რადგან ჯერ კიდევ აუმოქმედებელი სამსახურის ხელმძღვანელი ამთავითვე აცხადებს, რომ ქვეყანაში მონოპოლიების არსებობის პირობებს ვერ ხედავს, რაც ან სრული უმეცრებაა, ანდა შორს გამიზნული „სტრატეგიული" სვლა.**

**მაინც რამდენად შეიძლება აისახოს შიდა ბაზარზე კონკურენციის სააგენტოს ამოქმედება არსებული კანონმდებლობის ფარგლებში? — ამ კითხვით მივმართეთ ეკონომიკის ექსპერტს დემურ გიორხელიძეს.**

— დიდი ტანჯვა-წვალებით ხელისუფლებამ, როგორც იქნა, მიიღო კანონი კონკურენციის შესახებ, შესაბამისი სააგენტოც შექმნეს, თუმცა კი, მისი მოღვაწეობა, რამდენადაც ვიცი, შემოდგომიდან დაიწყება. ეს შეყოვნება, გარკვეული ნორმატიული მასალების მომზადებას უკავშირდება, რასაც, ცხადია, შესაბამისად დამტკიცება სჭირდება.

ისე კი უნდა გითხრათ, რომ მისი ხელმძღვანელის ერთ-ერთი ბოლო განცხადება, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ ჟღერს, ამიტომ მინდა, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რასაც თავისუფალი კონკურენციის შესახებ კანონის მიღებამდე ვამბობდი: **სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ფიქციური ორგანო, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელია წარმოიდგინო, რომ სახელმწიფო სტრუქტურის თავკაცი, რომელსაც ჯერ მუშაობაც არ დაუწყია, საჯაროდ აცხადებს, რომ საქართველოში მონოპოლიებს საერთოდ ვერ ხედავს(?!).**

მოდით, ახლა მე და თქვენ დავსხდეთ და ცოტა გულიანად ვიცინოთ საიმისოდ, რომ თუნდაც ასეთი განცხადებების მოსმენის ხასიათზე ვიყოთ. თუმცა კი, რა გვაცინებს, ამ მონოპოლიების „ქორწილში" ცხარედ უნდა ვტიროდეთ... ხუმრობასა და სარკაზმს თავი რომ დავანებოთ, უნდა ვთქვათ, რომ **კონკურენციის თემა თავისუფალი საბაზრო ურთიერთობების საკვანძო საკითხია. ზოგადად თავისუფალი კონკურენცია — ესაა დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მიგნება, რომელმაც იქაური ქვეყნები, რომ იტყვიან, ფეხზე დააყენა.** მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში ამერიკაში მთავრობები, როგორც შტატების, ასევე ფედერალურ დონეზე, იდივიდუალურად ყველა ბიზნესმენს ეხმარებოდნენ, რათა თავიანთი ბიზნესის მომძლავრებით მათ ქვეყნის ძლიერებისთვის შეეწყოთ ხელი. მაგრამ, როგორც ეს ბუნებაშიც ხდება ხოლმე, მერე მრავალი მათგანი მტაცებლად გადაიქცა, რაც მას შემდეგ მოხდა, რაც გამსხვილდნენ და მოყოჩაღდნენ. ამიტომაც მათი პარპაშის მოსათოკად ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტიტრესტული კანონმდებლობა მიიღეს და ყველა მტაცებელს თავიანთი ადგილი მიუჩინეს.

**როცა კი თამაშის წესები ყველა მონაწილისთვის ერთნაირი აღარ ხდება, მაშინ მუშაობას ძლიერის კანონი იწყებს — მე ვარ და ჩემი ნება და ინტერესებიო. იქ კი, სადაც ძლიერის კანონია გაბატონებული, კონკურენციასა და სამართლიანობაზე ლაპარაკი ზედმეტია. საქართველო — ესაა კარტელური გარიგებების კლასიკური ქვეყანა, მძლავრი მონოპოლიური ჯგუფების ქვეყანა, რომელიც ნაცმოძრაობის ხელისუფლებამ საბოლოოდ ჩამოაყალიბა, და რომელშიც ახალმა კოალიციურმა მთავრობამ ბევრი ვერაფერი ვერ შეცვალა.** პირიქით, ისეთ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მონოპოლისტური ჯგუფების თავგასულობა მავანთ, გარკვეულწილად, მოეწონათ კიდეც. სწორედ ამიტომაცაა, რომ ჩვენში ნებისმიერი სახეობის საქონელსა თუ მომსახურებაზე უსაშველო ფასებია. **მათ შორის ცალკეა გამოსაყოფი საყოფაცხოვრებო ტარიფებიც, რომლებიც სახელმწიფო რეგულირების სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მათ შემცირებასა და რეალურ დონემდე დაყვანას საშველი არა და არ დაადგა, ათასგვარი თავის მართლება კი ხალხში ისევ უსუსურობის შეგრძნებას აძლიერებს.**

ამდენად თავისუფალი კონკურენციის სააგენტოს ამოქმედების შედეგად რაიმე დადებით ძვრებს არც შემოდგომიდან და არც გაზაფხულიდან არ ველი. ამის მიზეზი კი ის არის, რომ იმის პოლიტიკური ნება, რომ საქართველოში ცივილიზებული, დასავლეთის ტიპის საბაზრო ეკონომიკა ჩამოყალიბდეს, არ არის, უამისოდ კი ყველა სხვა მცდელობა ფუჭი იქნება. არადა, **თუ ასეთი ეკონომიკა არ ჩამოყალიბდა, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება სრული ფიქცია იქნება.** თუ საქართველოს შიდა ბაზარზე მცირე თუ საშუალო ბიზნესმენს, ფერმერს მეწარმეობისა და პროდუქტის გასაღების პირობები დაახლოებით ერთნაირი მაინც არ შევუქმენით, როგორც ეს ევროპის ქვეყნებშია, ჩვენი ქვეყანა კონკურენტუნარიანი ვერასდროს ვერ გახდება.

ანკი როგორ შეიძლება უთანაბრო პირობებში მყოფი ადამიანები ერთმანეთს კონკურენციას უწევდნენ? ეს არც ბუნებაში ხდება სადმე და, ცხადია, ვერც ჩვენში ვერ მოხდება.

**ოთარ ტურაბელიძე**




თაბორის მთა

# თაბორი

ისრაელის ყოველ ქალაქში, ყოველ ნაბიჯზე „ჩასაფრებულან“ ტურისტული კომპანიები. ბეჯითად გთავაზობენ თავიანთ მომსახურებას და იქვე ჩამწკრივებულან კომფორტული ავტობუსები. ჩვენ კი, გვსურს, ფეხით მოვიაროთ წმინდა ადგილები. ფრიად საძნელო საქმე აღმოჩნდა ამ სურვილის განხორციელება და ერთ-ორჯერ, მაინც ვერ ვუგანეთ „ტურებს“ გვერდი. ქალაქ რეჰოვოტიდან ნაზარეთამდე 140 თუ, 150 კილომეტრამდე იქნება მანძილი და ერთობ შორია ფეხით სასიარულოდ. ამიტომ ჩვენ, ახლა, იმ კომფორტულ ავტობუსში ვსხედვართ და რუსულენოვანი ექსკურსიამძღოლი ენად გაკრეფილი გვიყვება მოსაყოლს.

პურის ყანებით, ბაღ-ვენახებით და ბანანის პალმის პლანტაციებით მოქარგულ გალილეის ველზე გადაჭიმულა გზა-შარა. მივუყვებით ამ კიდე-განს და კეთილი ებრაელი „გიდი“ თავს იწონებს:

— გაიხედეთ მარჯვნივ!... ეს ველები ჩვენი ხალხის სიამაყეა!... გაიხედეთ მარცხნივ!... აქ ნამდვილი „ტობი“, საფლავივით მკაცრი, გაუვალი ჭაობები იყო ოდესღაც, მაგრამ საუკუნეთა წინათ ებრაელებმა დიდძალი ოქროს ფასად გამოისყიდეს იგი!... რა თქმა უნდა, უკვირდათ მათ ვინც გაყიდა ეს ჭაობები, მაგრამ ებრაელმა ხალხმა იცოდა რას აკეთებდა. დაუღალავი შრომით, ქვეყნის უშორესი ადგილებიდან მოზიდული მადლიანი მიწით ამოავსეს აქაურობა და ახლა თქვენც ხედავთ, როგორ ჰყვავის ეს მიწა!... მეამაყება, რომ ასეთი შრომისმოყვარე, თავისი ტრადიციების მტკიცედ დამცველი ერის შვილი ვარ. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ბედის უკუღმართობით მიმოფანტული ხალხი ყველგან ინარჩუნებდა თავის მეობას, თავისი ქვეყნის სიყვარულს!... მეგობრებო!... დღეს ჩვენს ავტობუსში სხედან მადლცხებული საქართველოს შვილები!.. იშვიათია მსოფლიოში ქვეყანა, სადაც ებრაელ ხალხს ისეთი სიყვარული და პატივისცემა ეგრძნოს, როგორიც საქართველოში. ამიტომაა, რომ ბევრ ჩვენგანს საქართველო თავიანთ მეორე სამშობლოდ მიაჩნია!.. მადლობა თქვენ, ქართველებო!..

ზოგმა გაოცებულმა, უმეტესობამ კი, სათნოებით გადმოგვხედა და ასე გამოხატეს მოწიწება ჩვენს მიმართ.

გამახსენდა მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჯემალ აჯიაშვილის მეგრულად წარმოთქმული სიტყვები ტელეფონში:

— სქანი გოლუაფირო, ჩქიმი ზაური!.. მახიოლ (გამიხარდა) შენი ხმის გაგონება!.. შემოგევლე!.. ვინატრებდი, ერთხელ მაინც, ერთად მოგვევლო სამეგრელო და ისრაელი, ერთად გვენახა ჩვენი ბაბათი!.. სამეგრელო ჩემთვის ისეთივე ძვირფასია, როგორიც ჩემი ისრაელი!..

— გაიხარეთ, ბატონო ჯემალ!... მიხარია, რომ ასე კარგად იცით მეგრული!... შესანიშნავი სიტყვა ბრძანეთ ახლა თქვენ... „ბაბათი“-ო!...

— „ბაბათი“, მამულს ჰქვია, ჩემო კარგო!.. გულს უსიამოვნოდ ხვდება, როცა მამულს, სამშობლოს, „ოდაბადეს“ რომ უწოდებენ ამ ბოლო ხანებში მეგრელები... „ოდაბადე“ ხელოვნურად შექმნილი ტერმინია, ჩემო კარგო!.. „ბაბათი“ კი, „ბაბას“, მამის, მამისეულ ალაგს ნიშნავს. მამისეული ადგილი კი, სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა, იმას, რასაც სამშობლოს, მამულს ვეძახით!.. ადამიანი შეიძლება სულ სხვაგან დაიბადოს, მაგრამ მისი „ბაბათი“ სხვაგან იყოს... მე საქართველოში დავიბადე, ქართველი ებრაელი მქვია, მაგრამ საქართველოსთან ერთად ისრაელია ჩემი „ბაბათი“, ჩემი მამული!... ქრისტე ბეთლემში დაიბადა, მაგრამ მას მაინც, ნაზარეველს უწოდებენ, რადგან მისი „ბაბათი“ ნაზარეთი იყო!..

გულში თაფლი და თვალებში სიყვარულის მალამო ჩამეღვარა.

— მოვა დრო და აუცილებლად წავალთ!.. — დავპირდით ერთმანეთს, მაგრამ არ ეწერა განხორციელება ამ ჩანაფიქრს. ბოლო ხანებში შეუძლოდ იყო ბატონი ჯემალი და...

... ღმერთმა განანათლოს მისი, სიყვარულით გამთბარი სული!

... გალილეის ველზე აღმართულიყო მთა თაბორისა. ცა შარავანდედად ედგა მას და თაკარა მზის ჩხორია ღვთაებრივ გვირგვინს ჰგავდა.

— თაბორი!.. მთა ფერიცვალებისა!.. მთა ბიბლიური სასწაულისა!.. აქ შევყოვნდებით და ვისაც სურვილი და ჯანი გაქვთ, შეგიძლიათ, ეწვიოთ მის მწვერვალს!.. შეგიძლიათ, თაყვანი სცეთ უფალს!.. — შემოგვთავაზა მძღოლმა.

... ჭირკვალი მიუყვება აღმართს. მთის ერთ კალთაზე არაბები ცხოვრობენ, მეორეზე კი, — ებრაული სოფელია.

თითქოს ორიათასი წლის წინათ მოხდა სასწაული ამ მთაზე! სახარება ღვთიური სიტყვებით გვიყვება მასზე:

„...ჭეშმარიტდ გეუბნებით თქვენ: არიან ზოგიერთები აქ მდგომთაგან, რომელნიც არ იგებენ სიკვდილს, მანამ, სანამ არ იხილავენ ღვთის სასუფეველს“.

ამ სიტყვების წარმოთქმიდან რვა დღის შემდეგ პეტრე, იოანე და იაკობი წაიყვანა თან და თაბორის მთაზე ავიდა სალოცავად იესო.

სანამ მაცხოვარი ლოცულბდა, დაღლილ მოწაფეებს ჩაეძინათ და ძილშივე იხილეს სასწაული სამყაროს ფერიცვალებისა. გამოღვიძებულებმა კი, ცხადშივე იხილეს საოცრება, - თვით ქრისტეს ეცვალა ფერი: - „და იცვალა მათ წინაშე სხვა ფერად და გააბრწყინა პირი მისი ვითარცა მზე, ხოლო სამოსელი მისი იქმნა სპეტაკ ვითარცა ნათელი!“. მაცხოვრის გვერდით ზეციური დიდებით მოსილი მოსე და ელია წინასწარმეტყველი იდგნენ, რომლებიც მაცხოვარს იმ ვნებისა და ტანჯვის შესახებ ესაუბრებოდნენ, რაც მას იერუსალიმში მოელოდა. ამის მნახველი მოწაფეები გამოუთქმელმა ნეტარებამ მოიცვა და წარმოთქვა პეტრემ: — „მოძღვარო, კეთილ არს ჩვენი აქ ყოფნა, და ვიქმნეთ აქა სამ ტალავერ, -ერთი შენდა, ერთ მოსესას და ერთი ელიასი!“. ამ სიტყვების შემდეგ ნათელი ღრუბელი დაადგა მათ. ხოლო ღრუბლიან ცაზე გაისმა ხმა ღვთისა: — „ესე არს ძე ჩემი საყვარელი. მას უსმინეთ!“. შეშინებული მოწაფეები პირქვე დაემხნენ, მაგრამ მივიდა მათთან იესო, ხელით შეეხო მათ და უთხრა: — „აღდექით და ნუ გეშინიან!“.

როცა მათ მიმოიხედეს, მოსე და ელია აღარსად იყვნენ.

ასე შეესწრნენ მოწაფეები მაცხოვრის ფერისცვალებას!

მთიდან რომ ჩამოდიოდნენ, მაცხოვარმა გააფრთხილა მოწაფეები, რომ ეს ამბავი არავისთვის გაემხილათ, სანამ მკვდრეთით არ აღსდგებოდა!

იესო მარტო დარჩა, ისინი კი, დადუმდნენ და არავისთვის უთქვამთ რაც იხილეს.

თაბორის მთაზე ფერიცვალებით მაცხოვარმა თვალები აუხილა მოწაფეებს და უჩვენა თავისი ღვთაებრივი დიდება!

როგორც პატივცემული ზურაბ ეკალაძე წერს ჟურნალ „საპატრიარქოს უწყებან“-ში, XIV საუკუნეში დიდი დავა იყო თაბორის მთის გარშემო. კათოლიკური აზროვნება, კერძოდ მისი წარმომადგენელი, კალაბრელი ბერი, ვარლამი, ამ ნათლის მარადისობას უარყოფდა და მის ქმნილებას დროში შექმნილად მიიჩნევდა. ამის საპასუხოდ, ცნობილი წმიდა მამა გრიგოლ პალამა ამტკიცებდა, რომ თაბორის ნათელი, ეს არის ღვთაებრივი ძალა და ენერგია, სხვაგვარად რომ ვთქვათ, — ღმერთი, რომელიც სრულად მიღმურია ხილული სამყაროსი, ამავე დროს თავისი ენერგიის მადლით ქმნის, იცავს და განჭვრეტს მთელ სამყაროს. თაბორზე მაცხოვარმა სწორედ ამ ღვთიური ძალის ხილვით ღირსი გახადა არა ის, „რაღაც“ ზებუნებრივი ძალისა,რომელიც თითქოს, სწორედ ფერისცვალების სასწაულისთვის შეიქმნა.

ამ დავას გამოეხმაურნენ ათონელი ბერებიც. მათ უდიდესი ასკეტური ღვაწლის წყალობით, თვითონ გახდნენ ღირსნი საღვთო ნათელს გაენათებინა მათი გულები.

კონსტანტინოპოლში გააგზავნეს „ტომოსი“, რომელშიც ადასტურებდნენ თაბორის ნათელის მარადიულობასა და ღვთაებრიობას. კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ 1351 წელს დაგმო ვარლამის მცდარი სწავლება და გრიგოლ პალამას შეხედულებები მართლმადიდებლურად აღიარა.

მაქსიმე აღმსარებელს უთქვამს: — „უფლის ფერისცვალებისას თაბორის მთაზე ნაჩვენები იქნა ცხოვრების სამი გზა: სათნოებისა, შემეცნებისა და ღვთაებრიობისა. პირველი ორი გზა ელიასა და მოსეს სახით წარმოჩინდა, ხოლო ღვთისმოსაობას თავად მაცხოვარი წარმოადგენდა“.

საუკუნეების მანძილზე ბევრჯერ აშენდა თაბორზე სალოცავები, მაგრამ სპარსთა მრავალრიცხოვან შემოსევებს ვერც ერთი ვერ გადაურჩა.

პირველად დედოფალ ელენეს დროს ჩაუყრიათ საფუძველი სალოცავისთვის. მეთორმეტე საუკუნეში ხელახლა ააგეს სალოცავი ჯვაროსნებმა, მაგრამ კიტიმის ბორცვთან გაანადგურა ისინი სალადინმა და მათ მიაყოლა ყველა სალოცავი!

გასულ საუკუნეშიც იყო რამდენიმე მცდელობა თაბორზე ტაძრების აგებისა და...

სამწუხაროდ, დღეს მართლმადიდებელთა და ფრანცისკანელთა სალოცავებს შორისაც კი, ქვის გალავანი აღმართულა და მათ შორის ორი მეტრის სიფართის, ეგრეთ წოდებული, „ნეიტრალური გზატკეცილი“ გადის. ოდესღაც აქ კათოლიკური ბაზილიკაც იდგა, მაგრამ დღეს მასზე მხოლოდ გასული საუკუნის დასაწყისში გადაღებული ფოტოები თუ გვიყვებიან ძუნწად...

...ქართველები? ქართველების კვალიც კი, ვერც ვიპოვეთ თაბორზე!

გულდაწყვეტილი ჩამოვდივართ წმინდა მთიდან და ვერაფერს ვამბობთ! — თითქოს ჩვენთვისაც ებრძანებინოს მაცხოვარს სიჩუმე!

...ფერისცვალების დღესასწაული ერთ-ერთი ბრწყინვალე დღესასწაულია საქართველოში, რომელსაც ყოველი წლის 19 (6) აგვისტოს დიდი მოწიწებით აღნიშნავენ ჩემს „ბაბათში“.

...ახლა ნაზარეთ — კაპერნაუმისკენ გვიჭირავს გეზი! შემდეგ კი, თუ „უჟმურობამ“ არ შეგვიშალა ხელი, შევპირდით უფალს, ბეთლემის მაცხოვრის შობის მონასტერთან გვინდა მოვიყაროთ მუხლი! ...თუ არადა, წმინდა მიწიდან სამშობლოში დაბრუნებულები აუცილებლად ვეწვევით ჯვარი-ლეშამუგეს მაცხოვრის შობის ტაძარს და ერთად მოვილოცავთ ყველა სალოცავს!

...თუ, იქაც არ დაგვხვდა ალაყაფის კარები ჩარაზული!

**ზაურ ფიფია.**

**წმინდა მიწა. 2014 წელი.**

**ფოტოები ია ფიფიასი.**


გალილეა

**დასასრული. დასაწყისი იხ. № 154-156**

ნატო და ჩვენ

# რამ გახადა ესოდენ გულახდილი რასმუსენი?

**ნატოს გენერალური მდივანი რუსეთს საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში კონფლიქტის გაღვივებაში ადანაშაულებს. ანდერს ფოგ რასმუსენი The Financial Times-თან ინტერვიუში აცხადებს, რომ კომუნიზმის დაშლიდან მოყოლებული, ნატოს ძალისხმევა არ დაუშურებია, ურთიერთობები დაემყარებინა მოსკოვთან მისთვის იმაზე მეტი თანამშრომლობის შეთავაზებით, ვიდრე ნატოს რომელიმე არაწევრი ქვეყნისთვის.**

**„რუსეთმა კანონების უგულებელყოფით, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში კონფლიქტის გაღვივებითა და სამართალზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის დარღვევით უპასუხა. უკრაინის ტერიტორიაზე „მალაიზიის ავიახაზების“ კუთვნილი ბოინგის ტრაგიკულ ჩამოვარდნასთან დაკავშირებული არიან რუსეთის მიერ მხარდაჭერილი სეპარატისტები“,** — განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა.

აღსანიშნავია, რომ კიევში ვითარება ისევ დაიძაბა. პარალელურად, რუსეთმა საკუთარი საჰაერო სივრცის გავლით საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და თურქეთში უკრაინული ავიაკომპანიების ტრანზიტული რეისები აკრძალა.



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, რუსეთის წინააღმდეგ ტონი საკმაოდ გამკაცრებულია არა მხოლოდ ნატოს გენერალური მდივნისგან, არამედ ევროპული სახელმწიფოს ლიდრებისა და აშშ-ის მხრიდან. ფანჯიკიძის განცხადებით, უკრაინაში ვითარება ისევ დაძაბულია და ეს აშფოთებს მსოფლიოს.

**„შეშფოთებულები ვართ ჩვენც. ეს მოვლენები იწვევს სერიოზულ საფრთხეს. კონფლიქტი ჯერჯერობით არ გვარდება მშვიდობიანი გზით და ამის გამოხატულება იყო მალაიზიური თვითმფრინავის ჩამოგდება. გასაგებია ის გამძაფრებული ტონი, რაც არის ახლა რუსეთის წინააღმდეგ. ეს არა მხოლოდ ტონი, არამედ სანქციების ახალი ტალღაა“,** — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის განცხადებით, მნიშვნელოვანია ნატოს მხრიდან ასეთი განცხდებები. ალექსი პეტრიაშვილი იმედოვნებს, რომ ამ გადაწყვეტილებას კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვება.

**„საქართველო არის აგრესიის ქვეშ. მისი ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია და ეს არახალია. უკრაინაში სეპარატისტების მხარდაჭერის თაობაზე არსებობს კონკრეტული მტკიცებულებები. ასევე, მოლდოვასთან მიმართებაში კეთდება კონკრეტული შემაშფოთებელი, საფრთხის მატარებელი განცხადებები.**

**შესაბამისად, ძალიან კარგია, რომ ასეთი ტიპის მწვავე და პირდაპირი განცხადებები კეთდება, თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოახლოებულ ნატოს სამიტზე შესაბამისი გადაწყვეტილება იქნას მიღებული, რათა საქართველოს ინტერესები მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული და თავდაცვისუნარიანობა იყოს დამტკიცებული. ძალიან არ მინდა, რომ განცხადებები განცხადებებად დარჩეს“,** — განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ამბობს, რომ რასმუსენის განცხადება უკვე გედის სიმღერაა, რადგან გენერალურ მდივანს თანამდებობაზე ყოფნის ვადა გაუვიდა და დღეს შეუძლია თქვას სიმართლე.

**„ყველა გენერალური მდივანი საოცრად გულახდილი ხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მათი წასვლის დრო დგება. ნადვილად ასე იყო, საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან ნატო სულ ცდილობდა, რუსეთთან გამოეძებნა თავისი ენა, მაგრამ რასმუსენი ცოტას ცუღლუტობს, როცა არ ამბობს, რომ თვითონაც მაგ კურსს აგრძელებდა. თვითონ რასმუსენი ყოველთვის ცდილობდა, რომ რუსეთი ზომაზე მატად არ გაენაწყენებინა, ეს იყო აგვისტოს შემდგომი ომის პერიოდი, უკრაინის კრიზისის საწყისი ფაზა“,** — ამბობს ცინცაძე.

მისივე განცხადებით, მთავარი რაც დღეს სჭირდება უკრაინის ხელისუფლებას, არის სეპარატიზმთან ბრძოლის დასრულება და ამის შემდეგ ეკონომიკის მიხედვა. პოლიტოლოგი თვლის, რომ სწორედ დასავლეთის დამსახურებაა, რომ პორეშენკომ ამ დრომდე ვერ მოიცალა ეკონომიკური პრობლემებისთვის.

**„პოროშენკო უკვე ცაიტნოტშია, როგორმე უნდა გადაჭრას სეპარატისტებთან ბრძოლის საკითხი. არავინ არ მოითხოვს, რომ ნატომ დაიწყოს რუსეთის დაბომბვა, მაგრამ თავდაცვითი იარაღი მაინც მიჰყიდონ სუვერენული სახელმწიფოს კანონერ ხელმძღვანელობას, მაგრამ ამას არ აკეთებენ. ამ დროს სეპარატისტებს არაფერი არ აკლიათ. უახლესი იარაღი აქვთ, რუსეთთან საზღვარს სეპარატისტები აკონტროლებენ, საიდანაც შემოდის ცოცხალი ძალა, იარაღი და ტყვია-წამალი. ასე რომ, ეს კონფლიქტი გრძელდება.**

**კუს ნაბიჯებით მიდის ეს ანტიტერორისტული ოპერაცია, პოროშენკოს კი ამდენი დრო არ აქვს, რასაკვირველია, ისიც ბუნებრივია, რომ კიევი სავსეა რუსეთის აგენტებით. როგორც ჩანს, მოსკოვში დაგეგემილია, იგივე სცენარით გადააგდონ პოროშენკოს მთავრობა, რა სცენარითაც გადააგდეს იანუკოვიჩი. ამ ვითარებაში დასავლეთი შეშფოთებული და აღშფოთებული მაყურებლის როლშია.**

**უკრაინის მოვლენები ჩვენთვის არანაირ გაკვეთილად არ იქცა. მაინც გვგონია, რომ დასავლეთი საქართველოს არ მოექცევა ისე, როგორც უკრაინას. დასავლეთმა რაც არ გაიმეტა უკრაინისთვის, ჩვენთვის გაიმეტებს? ეს არის ზღაპარი. ჩემთვის ეს არის ღია გაკვეთილი, რა შეუძლია დაუპირისპიროს რუსეთის ღია აგრესიას დასავლეთმა? არაეფექტური სანქციები, მეტი არაფერი“,** — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას სოსო ცინცაძე.

**თამთა ქარჩავა**

ვითარება

# რა საფრთხეებს უქმნის უკრაინის კრიზისი საქართველოს?

**თუ გრივნას გაუფასურება გაგრძელდა, ეს მნიშვნელოვნად გააძვირებს უკრაინიდან საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტებს**

**უკრაინაში ვითარება კიდევ უფრო იძაბება, ეკონომიკური კრიზისი კი სულ უფრო ღრმავდება. უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო პარტნიორია, შესაბამისად, სულ უფრო ხშირად ისმის კითხვა - რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს საქართველოს ეკონომიკაზე და როგორ აისახება უკრაინის კრიზისი ექსპორტსა და იმპორტზე?**

**ლევან კალანდაძე, ეკონომიკის ექსპერტი: „კონკრეტული ციფრების დასახელება რთულია. ყველაფერი დამოკიდებულია პროცესების განვითარებაზე. იმაზე, თუ სად შეიძლება გამოიკვეთოს პრობლემები ქართულ-უკრაინული ეკონომიკური ურთიერთობის კონტექსტში, რუსულ-უკრაინული კონფლიქტის ფონზე. დიახ, უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორია და უკრაინაში მიმდინარე პროცესები, თავისთავად გავლენას ახდენს ქართულ ეკონომიკაზე. რამდენიმე პარამეტრზე გავამახვილოთ ყურადღება. უწინარესად, ეს არის ზოგადად არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა უკრაინაში, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს უკრაინული ვალუტის — გრივნას მსყიდველობითუნარიანობაზე. გაძვირებული გრივნა პირდაპირ აისახება საქართველოში იმპორტირებული პროდუქციის ფასზე. შესაბამისად, გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ გრივნას**



**გაუფასურება გაგრძელდა, ეს მნიშვნელოვნად გააძვირებს უკრაინიდან საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტებს. მოგეხსენებათ, რომ უკრაინიდან საქართველოში, ძირითადად კვების პროდუქტები და სამშენებლო მასალები შემოდის. შესაბამისად, ამ პროდუქტებზე, ერთი მხრივ, მოსალოდნელია ფასების ზრდა და, მეორე მხრივ, დასაშვებია, შეიქმნას სირთულეები საქონლის შემოტანის თვალსაზრისით.**

უკრაინასთან დაკავშირებული **მეორე მნიშვნელოვანი საკითხი** ტურიზმია. უკრაინელი ტურისტების ხვედრითი წილი საქართველოში დიდი არ არის, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი. ხოლო, როცა ქვეყანა კრიზისულ რეჟიმში გადადის, მოსახლეობაც გარკვეულ ეკონომიურ რეჟიმს ირჩევს და ამ თვალსაზრისითაც მოლოდინები ნეგატიურია.

მესამე საკითხი კი ფულადი გზავნილებია. მოგეხსენებათ, რომ უკრაინაში სამუშაოდ ბევრი ქართველია წასული და იქიდან გამოგზავნილი თანხებით არჩენენ საქართველოში ოჯახებს. ამ თვალსაზრისითაც უნდა ველოდოთ გარკვეულ ჩავარდნებს.

გამომდინარე აქედან, ზოგადად კონფლიქტის ესკალაცია და გაღრმავება ქმნის გარკვეულ საფრთხეებს უკრაინული სავაჭრო ურთიერთობებისთვის. თუმცა, მე ვერ ვიტყვი, რომ ამან შეიძლება მნიშვნელოვნად აზარალოს ქართული ეკონომიკა, რადგან ყოველთვის არსებობს ალტერნატივა და ის პროდუქტი, რომლითაც დღეს ქართულ-უკრაინული სავაჭრო ურთიერთობები იმართება, შეიძლება ალტერნატიულით ჩანაცვლდეს. თუმცა, ზოგადად ეკონომიკური ურთიერთობის მოშლის პერსპექტივა, სირთულეების გაჩენის საფრთხე, ფასების ზრდა უკრაინულ პროდუქტებზე — ეს ის რეალური გამოწვევებია, რასაც ქართველმა მომხმარებელმა და ბიზნესმა თვალი უნდა გაუსწოროს და ამ მოცემულობის შესაბამისად გადაანწყოს პრიორიტეტები სავაჭრო ურთიერთობებში.

**თამარ კორკოტაშვილი**

## დედამიწის ზურგზე




**ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ციებ-ცხელება ებოლი „საერთაშორისო მნიშვნელობის საფრთხედ“ გამოაცხადა**

ორგანიზაციაში მოუწოდეს, მიიღონ გადამჭრელი ზომები ეპიდემიასთან ბრძოლისათვის. კერძოდ, ყველა სახელმწიფოს, სადაც აღინიშნა დაავადების შემთხვევა, ეძლევა რეკომენდაცია, გამოაცხადოს საგანგებო სიტუაცია. ამას გარდა მათ ურჩევენ ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, მოსახლეობის ინფორმირებისა და მონიტორინგის სიტუაციისათვის მიიზიდონ დამატებითი რესურსები.

* * *

**კანადამ დაიწყო უკრაინული ჯარებისათვის არასაფრენი მოწყობილობის მიწოდება**



პარასკევს კიევში ჩაიტანეს პირველი პარტია 32 ტონის ოდენობით. მასში არის ჯავშანჟილეტები, კასკები, კარვები, საძილე ტომრები და სხვა მოწყობილობა უკრაინელი ძალოვანებისათვის, უწინარეს ყოვლისა — მესაზღვრეებისათვის. კანადის პრემიერი სტივენ ჰარპერი გვპირდება კვლავაც დაუჭიროს მხარი უკრაინას, თუ „პუტინის რეჟიმი გააგრძელებს სამხედრო აგრესიას“.

* * *

**ნატოში განმარტეს, რომ ახალი გადაწყვეტილებები რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ არ მიუღიათ**



ნატოს პრესსამსახურმა განმარტა, ალიანსის გენერალური მდივნის სიტყვები რუსეთთან თანამშრომლობის შეწყვეტის შესახებ. აღმოჩნდა, რომ ანდერს ფოგ რასმუსენმა შეგვახსენა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიღებული იყო ჯერ კიდევ აპრილის დასაწყისში. ამ დროს სახელმწიფო დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელმა ალექსეი პუშკოვმა ივარაუდა, რომ ნატოს ხელმძღვანელობამ შეიძლება მიიღოს შემდგომი გადაწყვეტილებანი რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის დამუხრუჭების შესახებ.

* * *

**ობამამ სანქცია მისცა ორ ოპერაციას ერაყში, მოიწონა ავიადარტყმების მიყენება მოთარეშეთა მისამართით**

ეს არის „წერტილოვანი საჰაერო დარტყმები ამერიკის პერსონალის დასაცავად და ჰუმანიტარული დახმარების გაწევა ათასობით მშვიდობიანი ერაყელის გადასარჩენად, რომლებიც ხაფანგში იმყოფებიან, მთებში, საჭმლისა და წყლის გარეშე“, — განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა სპეციალურ ბრიფინგზე. მაგრამ ახალი სახმელეთო საჯარო ოპერაციები ერაყში არ იქნება, ხაზგასმით აღნიშნა მან.



## შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
# „სატავტოტრანსი 2“
## შეტყობინება უპირატესი შესყიდვის უფლებით სარგებლობის თაობაზე

– **შპს „სატავტოტრანსი 2“** (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო კოდი: 226517025, იურიდიული მისამართის მქონე: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, რუსთავის გზტ,მე-15 კმ.) (შემდგომში „კომპანია“) იტყობინება, რომ კომპანიის პარტნიორები:

– ვაჟა უსანეთაშვილი;
– ილია შონია;
– გრიგოლ შონია;
– თენგიზ გავაშელი;
– სამსონ ჩხიკვაძე;

(შემდგომში **„გამსხვისებელი პარტნიორები“)**
გეგმავენ გაასხვისონ (გაყიდონ) კომპანიაში მათი წილები შემდეგი პირობებით:

| | |
|---|---|
| გასაყიდი წილების საერთო რაოდენობა: | 99.7% |
| 1% წილის ღირებულება: | 10,000 (ათი ათასი) ა.შ.შ. დოლარის ექვივალენტი ეროვნულ ვალუტა ლარში, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით; |
| ნასყიდობის ფასის გადახდის პირობები: | ნასყიდობის ფასის (ნასყიდობის საგნის საერთო, ჯამური ღირებულების) გადახდა იწარმოებს განაწილევადებით (განვადებით), სამ ტრანშად, შემდეგნაირად: |
| | **I ტრანში** - ნასყიდობის ფასის 30% - გადახდილ იქნება წილის ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერის დღეს; |
| | **II ტრანში** - ნასყიდობის ფასის 35% გადახდილ იქნება I ტრანშიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული თვის ვადაში; |
| | **III ტრანში** - ნასყიდობის ფასის 35% გადახდილ იქნება II ტრანშიდან არაუგვიანეს 3 (სამი) კალენდარული თვის ვადაში. |
| პოტენციური შემძენი: | შპს **"მანდი თექს მარკეტ"** (ს/კ: 426523504). |

– **„გამსხვისებელი პარტნიორები“** მიმართავენ კომპანიის დანარჩენ პარტნიორებს:

– ბ-ნ თამაზ მერაბიშვილს;
– ბ-ნ ნურახმედ ნურიევს;
– ბ-ნ ტახირ ახმედოვს;
– ბ-ნ- მამედ ალასკაროვს;
– ბ-ნ ზაქარია ალთუნაშვილს;
– ბ-ნ ილგარ გასანოვს;
– ბ-ნ ბახვა ღვედაშვილს;

კომპანიის წესდების 11.1 პუნქტის შესაბამისად, შეგახსენებთ, რომ თქვენ გაგაჩნიათ აღნიშული წილების შეძენის უპირატესი უფლება იგივე ფასითა და პირობებით, რომლითაც იგი მიეცემათ არაპარტნიორებს (პოტენციურ შემძენს). აღნიშნული მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 517 პუნქტის საფუძველზე და მათ შესაბამისად, გიწვევთ გამოიყენოთ წესდებით მონიჭებული უპირატესი შესყიდვის უფლება, წილების შეძენის შესახებ თქვენი სურვილის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გზით.

ამასთან, წილების შეძენის შესახებ შეტყობინება გამოგზავნილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №4 (იურიდიული კომპანია „ბი-ელ-სი“) არაუგვიანეს 2014 წლის 15 აგვისტოსი, პარასკევი დღის 19:00 სთ-სა.

გაითვალისწინოთ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 517-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება მხოლოდ ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში.

**ზემოთ აღნიშნულ ვადაში (2014 წლის 15 აგვისტო, პარასკევი დღის 19:00 სთ.), წერილობითი ფორმით შეტყობინების მოუწოდებლობის შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ თქვენ უარი თქვით წილის უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენებაზე და „გამსხვისებელი პარტნიორები“ უფლებამოსილნი იქნებიან გაყიდონ წილები ზემოთ მითითებული პირობებით პოტენციურ შემძენზე.**

**შიო შუკაკიძე,**
დირექტორი
7 აგვისტო, 2014 წელი


◎ ტყუილ-მართალი

# გამგებელს მტრები ჰყოლია...

**ზუგდიდის გამგებელმა ედიშერ თოლორაიამ თავის მრჩევლად 22 წლის მიმზიდველი ყოფილი კრუპიე თაკო ლაშხია დანიშნა და მას კაბინეტიც გამოუყო. სოც. ქსელებში მომხმარებლები აღნიშნავენ, რომ როგორც ჩანს ახალგაზრდა კადრებით, ძველი ხელისუფლების მსგავსად, ახალი ხელისუფლებაც დაინტერესებულია... მიშასაც უყვარდა ახალგაზრდა ლამაზი კადრები. ალბათ 22 წლის ყოფილ კრუპიე გოგონაზე უფრო მეტად გამოცდილი და ჭკვიანი გვეგონა ხალხის მიერ არჩეული გამგებელი. ამ გვერდის საქმე პოლიტიკა არაა. არც ნაციონალები გვაინტერესებს და არც ოცნება, მაგრამ პატარ-პატარა ამბებს ხანდახან მოგაწვდით ზუგდიდის ცხოვრებიდან. პატარაა ჩვენი ზუგდიდი და სწრაფად ვრცელდება ინფორმაციები წარმატებები!!!!**

facebook-დან



**ფეისბუქზე presa.ge-ს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციას გამოეხმაურა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებელი ედიშერ თოლორაია.** იგი გამგებლის მრჩევლის თანამდებობაზე თაკო ლაშხიას დანიშვნას უარყოფს და აცხადებს, რომ თაკო ლაშხია გამგეობაში ტექნიკურ თანამდებობაზე გამოსაცდელი ვადით მუშაობს.

**— მას დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არის გამგებლის თანამშემწის მოვალეობის შემსრულებელი. „კრუპიე“ იყოო, და ეს შეურაცხმყოფელია? მუშაობის უფლება არა აქვს, ეკრძალება მუშაობის სხვაგან გაგრძელება? ჩვენ მაქსიმალურად შევუწყობთ ხელს ახალგაზრდებს და მივცემთ მათ შანსს, გამოავლინონ საკუთარი თავი მუნიციპალიტეტისა თუ ქვეყნის საკეთილდღეო საქმეებში. დეპარტამენტების უფროსებად, მინისტრების მოადგილეებად ინიშნებოდნენ ადამიანები, რომლებსაც სათანადო განთლებაც კი არ ჰქონდათ, გამოცდილებაზე ხომ არაფერს ვამბობ. და ახლა, ზუგდიდში ტექნიკური მუშაკის გამოსაცდელი ვადით დანიშვნა გახდა მთავარი ნიუსი — ამ ადამიანებს ვურჩევდი იმ საქმეებით დაინტერესდნენ, რომელიც აქ, ჩვენი რაიონის აღმშენებლობისთვის კეთდება. თუ რამე საქმიანი წინადადებები აქვთ, მოვიდნენ და გვირჩიონ, გვერდში ამოგვიდგნენ სიკეთეების კეთებაში. ვურჩევ მათ მხოლოდ სიბინძურეებით ნუ დაკავდებიან, თორემ ჩაეფლობიან მაგ ლაფში და ვერ ამოაღწევენ ზევით,** — განაცხადა თოლორაიამ.

◎ ალიანჩალიანი

## ბათუმს ახალი ლოგო ექნება

**ბათუმს ახალი ლოგო ექნება. ბათუმის ბრენდ კონცეფციის, ლოგოს, სლოგანისა და ვებ-გვერდის შექმნის მიზნით, ტენდერი ბათუმის მერიამ მაისში გამოაცხადა. სამი ლოგო საჯაროდ განსახილველად მერიის ვებ-გვერდზე განთავსდა და 2 400 მოქალაქემ ლოგოს მესამე ვარიანტს დაუჭირა მხარი.**

**ბათუმის მერიის ინფორმაციით, გამარჯვებული ლოგო ბათუმელების გულღიობასა და მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქის სიმბოლოა.**

**„წარმოდგენილი ლოგოებიდან, ბათუმის მერიის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, სამი ლოგო გამოვიდა საჯარო განხილვაზე და დაიდო ვებ-გვერდზე ხმის მიცემის პრინციპით გამარჯვებულის გამოსავლენად. გაიმარჯვა აბსტრაქციამ, რომელშიც გაერთიანებულია მბრუნავი მზე, როგორც ბათუმელების გულღიობის, სითბოს, სიყვარულისა და მსოფლიო მნიშვნელობის ქალაქის სიმბოლო“, — აღნიშნულია განცხადებაში.**

**მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში შპს „ეისითიმ“ გაიმარჯვა. ბათუმის მერიაში აცხადებენ, რომ გამარჯვებულმა ლოგომ შესაძლოა მცირედი ცვლილებები განიცადოს.**

## სოფელ დიღმის მოსახლეობა მიწის ნაკვეთების დაბრუნებას ითხოვს

**სოფელ დიღმის მოსახლეობის ნაწილი თბილისის მერიასთან შეიკრიბა და დედაქალაქის ახალ მთავრობას მიწის დაბრუნება მოსთხოვა.**

**როგორც ერთ-ერთი ოჯახის ადვოკატმა განაცხადა, მისი დაცვის ქვეშ მყოფს დედისგან მემკვიდრეობით აქვს მიღებული მიწის ნაკვეთი, თუმცა იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს მის სახელზე დაერეგისტრირებინა ნაკვეთი, თვითმმართველმა ერთეულმა თავის სახელზე დაარეგისტრირა მიწა.**

**— ყველა დოკუმენტი ჰქონდა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, თუმცა საჯარო რეესტრმა არ შეისწავლა ეს საქმე და ქონების დარეგისტრირება თვითმმართველი ერთეულის სახელზე მოახდინა, — აღნიშნა ადვოკატმა ნინო ანდრიაშვილმა.**

**მისივე ინფორმაციით, სხვა შემთხვევებიც ანალოგიურია, თუმცა ზოგიერთმა ოჯახმა უფულობის გამო სასამართლოს ვერ მიმართა.**

## ალაზანში ადამიანის ჩონჩხი იპოვეს

**მდინარე ალაზანში, ლაგოდეხის რაიონთან ადამიანის ჩონჩხი იპოვეს. „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტის ცნობით, ჩონჩხი ადგილობრივებმა თევზაობის დროს შენიშნეს. ადგილზე კახეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური იქნა გამოძახებული.**

**როგორც სამაშველო სამსახურის უფროსის მოადგილემ მიხეილ ოსოშვილმა განაცხადა, იმის გამო, რომ გვამი დაზიანებულია და უკვე ჩონჩხია, ამ დრომდე შეუძლებელია დადგენა ვის ეკუთვნის. ადამიანის ჩონჩხი იდენტიფიკაციისთვის პოლიციას გადაეცა.**

## შსს-მ მკვლელობის ფაქტი გახსნა

**შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და გლდანი-ნაძალადევის სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1939 წელს დაბადებული შოთა ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.**

**შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა თბილისში, გლდანის მე-5 მიკრორაიონში, საკუთარ საცხოვრებელ ბინაში, ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე, ურთიერთშელაპარაკებისას, თავის არეში ბლაგვი საგნით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა შვილს, 1981 წელს დაბადებულ გიორგი ხ-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.**

**ფეხბურთი**




# ღირსეულად წაგებაც საქმეა

**სასწაული აღარ განმეორდა — თავგანწირული თამაშის მიუხედავად, საჩხერის „ჩიხურამ“ ევროპის ლიგის III საკვალიფიკაციო რაუნდის საპასუხო მატჩი წააგო ბაქოს „ნეფთჩისთან“ და ქართულ კლუბთაგან უკანასკნელმა დაუშვა ფარდა საერთაშორისო სეზონში.**

**„ჩიხურა“ — „ნეფთჩი“ 2:3**
**(პირველი შეხვედრა 0:0).**

თუ ობიექტურნი ვიქნებით, მეტოქეს, რომელიც ბიუჯეტითაც გჯობნის და ლეგიონერთა დეფიციტსაც არ უჩივის, შემდეგ ეტაპზე გასვლის გაცილებით მეტი შანსი აქვს, მაგრამ არსებობს კომპონენტები, რომელიც პროგნოზებს უმოწყალოდ ამსხვრევს.

სწორედ მათმა ერთობლიობამ გადაალახვინა ეროვნული თასის გათამაშების ფინალისტს თურქული „ბურსასფორის“ წინაღობა და წარმატებით ჩააბარებინა ერთი კვირის წინანდელი აზერბაიჯანული გამოცდაც, მაგრამ ამჯერად კოკამ წყალი ველარ მოიტანა.

არადა, სოსო ფრუიძის გუნდს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე შეკრებილი 20-ათასიანი აუდიტორიის სახით ისეთი მეკავშირე ჰყავდა, რომელიც იღბლისა და ობიექტური მსაჯობის შემთხვევაში, დიდი ალბათობით, სასურველ შედეგამდე მიიყვანდა.

ასეა თუ ისე, დიდი მადლობა ზემოიმერლებს უთანასწორო ბრძოლაში ვაჟკაცურად გადაშვებისა და ღირსების შენარჩუნებისათვის, რითაც ჩვენში ბევრი ვერ დაიკვეხნის.

**გიორგი შოთაძე**

**კალათბურთი**

# ნაკრების წევრთა რაოდენობა აღარ შემცირდება



**საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, ამ დროისთვის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისათვის მზადების მიზნით შეკრებაზე მყოფი 15 კალათბურთელიდან (ზაზა ფაჩულია, თორნიკე შენგელია, გიორგი ცინცაძე, ვიქტორ სანიკიძე, ლევან ფაცაცია, ნიკა მეტრეველი, ბექა წიკლიკიძე, მიხეილ ჭოჭუა, მიხეილ ბერიშვილი, დუდა სანაძე, ოთარ ფხაკაძე, ბექა ბურჯანაძე, გიორგი შარაბიძე, გიორგი შერმადინი, ბესო ლეჟავა) შესარჩევი ტურნირის ბოლომდე ყველა გუნდში დარჩება.** აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკრების მთავარ მწვრთნელს იგორ კოკოშკოვს შესარჩევ ტურნირში ბევრი კალათბურთელის გამოყენების საშუალება ექნება. ამის შესახებ კოკოშკოვის ერთ-ერთმა თანაშემწემ კოტე ტუღუშმა განაცხადა.

სამწუხაროდ, შესარჩევი ციკლის ბოლომდე ნაკრების ამ შემადგენლობით დატოვება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ შერმადინი „ჯვაროსნებს“ უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მეორე წრიდან დაეხმარება. რაც შეეხება ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ მანუჩარ მარკოიშვილს და ნატურალიზებულ რიკი ჰიკმანს, ეს კალათბურთელები შესარჩევ მატჩებში საერთოდ ვერ ითამაშებენ.

შეგახსენებთ, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩეხეთის, უნგრეთისა და პორტუგალიის ნაკრებ გუნდებთან ერთად მოასპარეზე ჩვენი ქვეყნის ნაკრები უშუალო კონკურენტ ჩეხეთის გუნდს ხვალ 19 საათზე თბილისის სპორტის სასახლეში უმასპინძლებს.

**ვიტალი ჯაფარიძე**

**ჩოგბურთი**

# გორგოძე და თელავური ტრიო

**გერმანულ ჰეჩინგენში მიმდინარე ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) წარმატებით გამოდის თბილისელი ეკატერინე გორგოძე, რომელმაც ერთეულთა თანრიგში ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმა: ჯერ ბრაზილიელ გაბრიელა სეს აჯობა — 6:4, 7:5, შემდეგ ქსენია კნოლი (შვეიცარია) ჩამოიშორა გზიდან — 4:6, 6:2, 7:5. მეოთხედფინალში გორგოძე ამანდა კარერას (დიდი ბრიტანეთი) მძლეველ (6:0, 6:0) ლაურა ზიგმუნდს (გერმანია) დაუპირისპირდება.**

წყვილებში სოფიო ქვაცაბაიასთან შეამხანაგებულმა გორგოძემ პირველ წრეში ევა და ჰანა ბირნეროვები (ჩეხეთი) დაჯაბნა, მეოთხედფინალი კი ტურნირის რეიტინგფავორიტ ელენა ბოგდანსა (რუმინეთი) და ვალერია სოლოვიოვასთან (რუსეთი) დათმო — 0:6, 2:6.

* * *

თელავში დაწყებულ ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ტურნირებში (თითოეულის საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) სამმა ქართველმა იყოჩაღა: ქალებში წინა ტურნირის მეორეადგილოსანმა მარიამ ბოლქვაძემ ჯერ რევანში აიღო რუს იულია კალაბინასთან, მეორე წრეში კი უკრაინელ კატერინა ლეიმარს მოუგო — 6:3, 6:1. ვაჟთა ტურნირის მეოთხედფინალში იბრძოლებენ გიორგი ცივაძე, რომელმაც მეორე წრეში პოლონელი პაველ კიასი დაამარცხა - 3:6, 7:6, 6:2, და ასპარეზობის მეექვსე ნომერი ალექსანდრე მეტრეველი — ამ უკანასკნელმა სამ სეტში პოლონელ ბართოშ ვოინარს აჯობა — 4:6, 6:4, 6:1.



**ლექსო ცინცაძე**

**ჭადრაკი**

# მარგველაშვილს — „ბრინჯაო“



**ორლანდოში დამთავრდა მოჭადრაკეთა ამერიკის შეერთებული შტატების 115-ე ღია ჩემპიონატი, რომელშიც მედლებისთვის სხვადასხვა ქვეყნის 115 წარმომადგენელი იბრძოდა შვეიცარიული სისტემით. 9 ტურის შემდეგ ერთბაშად ექვსმა მონაწილემ 7.5-7.5 ქულა მოაგროვა.** ჩემპიონის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი მატჩი. ამერიკელმა კონრად ჰოლტმა თანამემამულე მაიკლ მულიარი დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. 7.5 ქულითა და უკეთესი კოეფიციენტით ბრინჯაოს მედალი ქართველ დიდოსტატ გიორგი მარგველაშვილს ერგო, რომელიც მეორე წელიწადია ამერიკაში სწავლობს და იქაურ საჭადრაკო ტურნირებშიც ასპარეზობს. მეოთხე-მეექვსე ადგილები ფიდელ კორალესმა (აშშ), ილია ნიჟნიკმა (უკრაინა) და ალექსანდრ შაბალოვმა (აშშ) გაინაწილეს.

**ლაშა დიდია**

**ინტერნეტიდან**

# ადრიანა ლიმას სიხარული და დარდი

**ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების თილისმად სახელდებული თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ქალი ადრიანა ლიმა ცოტა ხნის წინათ 33 წლის გახდა. მოდელმა დღესასწაული ახლობლების გარემოცვაში აღნიშნა, თუმცა, მათ შორის არ იყო მისი მეუღლე, კალათბურთელი მარკო იარიჩი. მიუხედავად წარუმატებელი პირადი ცხოვრებისა, მოდელის კარიერა წარმატებულია.**

ჟურნალ „ფორბსის“ მიხედვით, ადრიანა ლიმა მესამეა ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელებს შორის ჟიზელ ბიუნჰენისა და მირანდა კერის შემდეგ. 2012 წელს ბრაზილიელმა მოდელმა 6 მილიონი აშშ დოლარი გამოიმუშავა.

**როსტომ რაჭველიშვილი**



**კრიმინალი**

# შაკილ ონილს სასამართლოში უჩივლეს

**ნბა-სა და მსოფლიო კალათბურთის ლეგენდარულ წარმომადგენელს, ცენტრალურ თავდამსხმელ შაკილ ონილს სასამართლოში უჩივლეს.**

სარჩელი აშშ-ის მიჩიგანის შტატის წარმომადგენელმა ჯამელ ბინიონმა შეიტანა, რომელიც იშვიათი გენეტიკური დაავადების მატარებელია. აღნიშნულ დაავადებას ბინიონი სახეზე ატარებს. ბინიონის სურათის ნახვის შემდეგ, რომელიც ჯამელმა სოციალურ ქსელში განათავსა, ონილს დამცინავი ჟესტი გაუკეთებია.



ჯამელი მორალური ზარალის ასანაზღაურებლად ონილისაგან 25 000 აშშ დოლარს ითხოვს. როცა დიდმა შაკმა გაიგო ჯამელის ავადმყოფობის შესახებ, მოინანია და საჯაროდ ბოდიში მოიხადა. გაითვალისწინებს თუ არა სასამართლო შაკილის მონანიებას მომავალი გვიჩვენებს.

**ბეჟან დოლიძე**

**ავტოსპორტი**

# ალონსო და ჰამილტონი: რიკარდო საუკეთესოთა შორისაა

**ამ სეზონში მოპოვებული ორი გამარჯვებით „რედ ბულის“ ახალი წევრი დანიელ რიკარდო ნამდვილ აღმოჩენად იქცა არამხოლოდ ფ1-ის მოყვარულთათვის, არამედ თავად ტოპ-პილოტებისთვისაც. ხუმრობა ხომ არ არის — ავსტრალიელმა თვით მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი თანაგუნდელი სებასტიან ფეტელის დაჩრდილვაც კი შეძლო.**

სხვათა შორის, უკვე გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ „ჰონდასთან“ პარტნიორობის დაწყების წინ „მაკლარენი“ ტოპ-პილოტის ძიებაშია. ასეთად უოკინგელებს სამი პილოტი ჰყავთ შერჩეული — ფერნანდო ალონსო, ფეტელი და ლუის ჰამილტონი. თუმცა, ბოლო ინფორმაციით, ამ სიას უკვე რიკარდოც დაემატა, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონ გუნდში მის იუნიორ კლუბ „ტორო როსოდან“ გადაინაცვლა.




25 წლის რიკარდო ფეტელზე ორი წლით უმცროსია. სხვათა შორის, მის მსგავსად ფეტელმაც „ტორო როსოში“ გამოიჩინა პირველად თავი. ამ სეზონში ავსტრალიელი აშკარად უკეთ შეეგუა ახალ რეგლამენტს და ორი გამარჯვებაც მოიპოვა. თანაც, კანადისგან განსხვავებით, უნგრეთში გამარჯვებას „მერსედესებთან“ ბრძოლაში მიაღწია და გზად ჰამილტონს და ალონსოს გაასწრო.

უნგრული რბოლის შემდეგ ალონსოს ჰკითხეს, თვლის თუ არა რიკარდოს ტოპ-პილოტად, რაზეც ესპანელმა უპასუხა: „რა თქმა უნდა! ვფიქრობ, ის ჩემპიონ გუნდს ლიდერობს და ეს ყველაფერზე მეტყველებს“. მას ჰამილტონიც დაეთანხმა: „ის არა მხოლოდ ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ადამიანია ურთიერთობაში, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო მრბოლიცაა“.

უნგრეთში თავისი თანაგუნდელის წარმატებაზე ფეტელმა თქვა, ხელსაყრელ მომენტში საჭირო ადგილზე აღმოჩნდა და იმიტომ მოიგოო. ერთი მხრივ ეს მართალია, უსაფრთხოების მანქანამ ოზ მრბოლს გამარჯვებაში ხელი შეუწყო, მაგრამ ჩათვალეთ, რომ ეს იმის კომპენსაცია იყო, რომ „რედ ბული“ ამ სეზონში „მერსედესის“ დონეს ვერ ქაჩავს. უსაფრთხოების მანქანამ კი მათ შორის არსებული ჰანდიკაპი აღმოფხვრა.

„მას გაუმართლა, იღბალიც მის მხარეს იყო, როცა ტრასაზე უსაფრთხოების მანქანა გამოვიდა, მერე კი დანიელმა ყველაფერი კარგად გააკეთა“, — გერმანულ ჟურნალ „აუტო მოტორ უნდ შპორტთან“ საუბრისას თქვა ფეტელმა, რომელიც რბოლამდე პრაქტიკებსა და კვალიფიკაციაშიც სჯობდა რიკარდოს, მაგრამ ყველაზე საჭირო მომენტში მაინც ავსტრალიელმა აჯობა.

**კობა კობახიძე**

◉ რაც გვაფიქრებს და გვაღელვებს!

# „აბესალომ და ეთერი“ ხელშეუხებელია!



## ქობულაძის ფარდა განა არაქრისტიანულია?!

**მთელი ქართველი მუსიკალური (და არა მხოლოდ მუსიკალური!) საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელის იმ ნანატრ დღეს, როდესაც თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ხანგრძლივი იძულებითი „დუმილის“ შემდეგ კვლავ გაუღებს კარს თავის მსმენელებსა და მაყურებლებს. დასასრულს უახლოვდება თეატრის შენობის მრავალწლიანი რეკონსტრუქცია და კაპიტალური რემონტი, რომელიც შეუდარებელი ქველმოქმედის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ინიციატივითა და ხელშეწყობით ხორციელდება.**

როგორც ვიცით, თეატრისათვის ესოდენ მძიმე პერიოდში გრძელდებოდა და ახლაც გრძელდება მისი სიცოცხლე და ფუნქციონირება საკონცერტო შემსრულებლობის სახით, რომელშიც თეატრის შესანიშნავ ვეტერანებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობენ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლებიც.

საოპერო თეატრის „აღდგომის“ ისტორიული დღე ამ შემოდგომით არის დაგეგმილი, რაც უკვე ამჟამად მთელ რიგ სერიოზულ პრობლემებს სვამს მის სამხატვრო და ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის წინაშე.

ამავე დროს, თეატრის ხელახალი დაბადების ფაქტი გვაღელვებს ჩვენც – მუსიკალური ხელოვნების ამ დიდებული ტაძრის ერთგულ გულშემატკივრებს, მსმენელთა უფართოესი აუდიტორიის წარმომადგენლებს. და, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ გვაღელვებს არა მხოლოდ ესთეტიკური და ზნეობრივი სიხარულის მოლოდინით! და აი, რატომ.

ჯერ კიდევ, რამდენიმე წლის წინათ, თეატრის მაშინდელი ხელმძღვანელობის მუშაობის პერიოდში გავრცელდა ხმა, რომ ვითომცდა, უკვე გადაწყვეტილია (?!) ქართული პროფესიული მუსიკალური კულტურის ძეგლის ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი ოპერა „აბესალომ და ეთერის“ ხელყოფა – კონკრეტულად კი – სცენური განხორციელება იმ სახით, რომელიც უარყოფილ იქნა თვით ავტორისა და აგრეთვე მისი უახლოესი თანამშრომლების (დირიჟორი ივანე ფალიაშვილი, რეჟისორი ალექსანდრე წუწუნავა, მუსიკალური მწერალი და კრიტიკოსი ილია ზურაბიშვილი) გადაწყვეტილებითა და ნებით უკვე „აბესალომ და ეთერის“ დადგმის (1919 წლის 21 თებერვალი) მესამე სპექტაკლის შემდეგ.

კერძოდ, ოპერის ხუთაქტიანი სტრუქტურიდან ამოიღეს მთელი ერთი მოქმედება (თავდაპირველი რედაქციის მე-3, ე.წ. „ბელიარ ეშმაკის აქტი“, რომელსაც თავისი ზღაპრულ-ფანტასტიკური ბუტაფორიულობით არაფერი საერთო არ ჰქონდა „აბესალომ და ეთერის“ მაღალეთიკურ იდეასა და ზნეობრივ არსთან.

პრემიერის დღიდან გასული თითქმის მთელი საუკუნის მანძილზე არავის მოსვლია თავში დაემატებინა რაიმე ავტორისეულ კანონიზებულ მუსიკალურ-სცენური ტექსტისათვის (ამის დასტურია თუნდაც ოპერის სამგზის გამოცემული კლავირი და პარტიტურა. მოკლედ, დიდი ხანია დადგინდა „აბესალომ და ეთერის“ აკადემიური 4-აქტიანი ფორმატი და აი, ახლა, უკვდავი „აბესალომის“ საუკუნოვანი იუბილის წინ ვიღაცის (სულერთია ვისი) ნებით შეიძლება საფრთხე შეექმნას ქართული მუსიკის მარადიულ შედევრს, რომლის უცერემონიო ხელყოფა ისეთივე მკრეხელურ აქციად წარმოგვიდგება, როგორც ბიბლიისა თუ „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ განხორციელებული „მოდერნიზაციისა“ და „ადაპტაციის“ მცდელობა (ღმერთმა დაგვიფაროს!).

გამოვთქვამ იმედს და რწმენასაც, რომ თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელობა გაითვალისწინებს ზემოხსენებულ მოსაზრებებს, რომელთაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ იგი მიძღვნილია ქართული მუსიკის მარადიული შედევრის, ზ. ფალიაშვილის გენიალური ოპერის „აბესალომ და ეთერისადმი“.

* * *

**ვსარგებლობ შემთხვევით, რათა საზოგადოების ყურადღება მივაპყრო საოპერო თეატრის შენობის აღორძინებასთან დაკავშირებულ კიდევ ორ მიუტევებელ გარემოებას.**

როგორც ცნობილია, ოპერის შენობის ხანძრამდე (1973) მას ამშვენებდა გამოჩენილი მხატვრის სერგო ქობულაძის შესანიშნავი ფარდა, რომლის აღდგენის საკითხი დიდი ხანია აღელვებს ქართველ საზოგადოებას.

ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ, თურმე, გადაწყვეტილია (არ ვიცით, ვისი ნებით!) ს.ქობულაძის ფარდის ჩანაცვლება იმ ყოვლად აბსურდული და დემაგოგიური მოტივით, რომ იგი, ვითომცდა, „არაქრისტიანულია“! საიდან, რატომ? ვის მოუვიდა თავში ამგვარი ცილისწამება? (ასეთივე წარმატებით, შეგვიძლია „არაქრისტიანულად“ გამოვაცხადოთ თვით თეატრის შენობაც!).

ს.ქობულაძის ფარდა წლების მანძილზე ამშვენებდა თეატრს და მაყურებელთა (მათ შორის, უცხოელებისაც) საერთო აღტაცებას იწვევდა. იგი აუცილებლად უნდა აღდგეს, როგორც ქართული საოპერო ხელოვნების დიდებული სიმბოლო!

და სულ ბოლოს, დიდი დირიჟორის ევგენი მიქელაძის შესანიშნავი ძეგლი (ავტორი გიორგი შხვაცაბაია), რომელიც საოპერო თეატრის ბაღის ყველაზე მიგდებულ კუთხეში დგას, უნდა გადმოვიტანოთ სადმე წინ, თვალისთვის მისაწვდომ და გასახარ ადგილზე, რასაც, ცხადია, იმსახურებენ თვითონ ევგენი მიქელაძეც და მისი ძეგლის ავტორიც.





**გულბათ ტორაძე**

◉ თითქმის ნატურიდან

# მსხვილი საზამთროები

**კახელი და გურული აგრარულ ბაზარში დახლთან ერთმანეთის გვერდიგვერდ მოხვდნენ.**

– შენია, ძამა, აი საზამთრო? – იკითხა გურულმა.

– აბა შენია?

– აიმრიზა კახელი.

– საწყენად კი არ გეუბნები, შე კაცო, მაინტერესებს, რაფერ შემოტიე ამხელა საზამთროები კარებში?

– შემოტანის წინ დავჭერი.

– მაგიჟებ, ძამა? ჯერ დაჭერი და მერე ისევ გაამთელე?

– აბა როგორ, დაუჭრელად ვინ შემომატანინებდა?

– კაი ეშმაკი ჩანხარ, შენ!

– რაზე მატყობ?

– უფულოდ მაი საქმე არ გამოვიდოდა.

– თუ იცი, რაღას მალაპარაკებ?

– რავა, გავერთო, არ შეიძლება?

– ამ სიცხეში, კაცო?

– სწორედ ეგ მინდოდა მეკითხა: ამ ხვატში აი საზამთროები სად დაამსხვილებინე?

– სადა და სამინისტროში.

– ვისა, კაცო?

– ვისა და პირადად მინისტრსა.

– ახლა რო დანიშნეს?

– სწორედ მაგასა. საზამთროს რო მორჩება, მერე ყურძნის დამსხვილებაზე იმუშავებს.





– ამ ხვატში, კაცო?

– მა, ეგრე ამბობს, სიცხეში ყურძენი უფრო სწრაფად მსხვილდებაო.

– მორწყვა არ უნდაო?

– არაო, კომუნისტები კი არა ვართ, ვენახები ვრწყათ და ღვინო გავაწყალებინოთო.

– რაც მართალია მართალია, მაგარი ვინმე გამოდგა მაი მინისტრი.

– აბა კაცო, თანაც რო არ იღლება?

– ყოჩაღ, ძამა, ყოჩაღ! თანაც რა მიკვირს, იცი?

– რაი?

– ამდენი შრომის შემდეგ გრამიც არ მოუკლია.

– ჭამა-სმას არ იკლებს და იმიტომ. ეს თავისთავად, მაგრამ რა მინდოდა მეკითხა, იცი?

– თქვი.

– ეს ახალი მინისტრი გურულებს არაფერში გეხმარებათ?

– რაში უნდა დაგვეხმაროს?

– აი, ვთქვათ, თხილის დამსხვილებაში.

– არა, რომ გვეხმარებოდეს, ასე წვრილი ხომ არ იქნებოდა.

– მაგრამ დაწვრილებასაც ხომ უნდა მოხმარება?

– მაი, მართალია, მაგ საქმეში თავის დროზე ჩხარტიშვილი და სიორიძე გვეხმარებოდნენ.

– როგორ ახერხებდნენ?

– შე კაცო, შემსალაროში ანაბრების გაქრობა თუ მოახერხეს, თხილს ველარ დააწვრილებდნენ?

– სწორია, მაი, კი ვერ მოვიფიქრე.

– კილოგრამობით ყიდი? – დაინტერესდა კახელი.

– აბა როგორ?

– ცალობით უნდა გაყიდო, უფრო მოგებული დარჩები.

– მაი თუ ვთვალე, შინ როდისღა წავიდე?

ამის გაგონებაზე კახელს ცოლშვილი გაახსენდა, სასწრაფოდ წამოკრიფა საზამთროები და წასასვლელად მოემზადა.

– რავა, საზამთრო უკან მიგაქვს? – გაიკვირვა გურულმა.



– არა, სამინისტროში ჩავაბარებ.

– არ ქნა მაი, თორემ შეგიჭამენ.

– პირიქით, ვიდრე დავბრუნდები, კიდევ უფრო დაამსხვილებენ.

**ოტია ჩართოლანი**

**ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მრავალი წლის მანძილზე საზოგადოების ერთგული წევრი, ამაგდარი ქართველი არქეოლოგი, ზღუდერის განძის აღმომჩენი, ღირსეული მოქალაქე**

**გურამ ნემსაძე**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

---

**მეუღლე ნიკო, შვილები ქეთი, გია, შვილიშვილები ნიკუშა, სანდრო ბაქრაძეები, რძალი ეკა ხარაბაძე, მული დალი ბაქრაძე, მულიშვილები გოგი, აჩიკო საყვარელიძეები, მამიდაშვილი სანდრო მრევლიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ნანა კილაძე**

**პანაშვიდი 9 VIII, გამოსვენება 10 VIII 14 სთ. მის. ბუდაპეშტის 3ა. I სადარბ. IV სართული.**

---

**ფერია ილაშვილი, არმაზ, თეა, სოფიკო პაიჭაძეები, ეკო, სოსო ამყოლაძეები, დავით კასრაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან ნიკუშა ბაქრაძის მეუღლის**

**ნანა კილაძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ ოჯახს.**

---

**მამა ვახტანგი, დედა ნორა, მეუღლე მარინა, შვილები ხათუნა, ქეთინო, ზაქარია, შვილიშვილები ნინია, გიორგი, ანდრია, დემეტრე, ვახტანგი, რძალი ქეთევან ირემაშვილი, დები ლამარა, მაია, ირინა, ტანია, სიძეები კახა მხეიძე, გია აბრამალაძე, ვალერიანე კანკია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**რაულ შველიძე**

**პანაშვიდი 10, 11 VIII, დაკრძალვა 12 VIII, 15 სთ. მისამართი: ვანის რაიონი, სოფელი ზეინდარი.**

---

**მეუღლე მარინა ძიგუა, შვილები ლიანა, ევგენი, ძმა გულთაზ ლაბარტყავა, შვილიშვილები ქეთევანი, სესილი, ლუკა, ლიკა, ძმისწულები თამარი, გუბაზი, დისწულები მაია, გიორგი მაისურაძეები, რძლები ნინო არშბა, ნანა ოჩიგავა, თამარ ზათიაშვილი, ლია გუგეშაშვილი, სიძეები ლადო ჯურხაძე, ჯიმშერ მაისურაძე, ირაკლი თოდრია, სიდედრი ეთერ ქორიძე, მძახალი გულნაზ ჩიქოვანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ზაურ ევგენის ძე ლაბარტყავა**

**პანაშვიდი 10, 11 VIII, 17 სთ. დაკრძალვა 12 VIII, 15 სთ. მის: თამარაშვილის ქ. 13ა, I სადარბაზო, მე-12 სართული.**

სულიერება

# პანტელეიმონობა

**9 აგვისტოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს უდიდესი მოღვაწის, წმინდა დიდმოწამის პანტელეიმონ მკურნალის ხსენებას, რომელიც ნიკომიდიაში მესამე საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა.**



პანტელეიმონ მკურნალის ქრისტიანულ ღირებულებებზე აღზრდა თავის თავზე აუღია სასულიერო მოღვაწეს – ერმოლაოსს.

წმინდა მკურნალ პანტელეიმონს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი ცნობილი მედიკოსების ნაშრომი.

წმინდანი კურნავდა ავადმყოფებს ქრისტეს სახელით და თავისი სამედიცინო გამოცდილებით ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. უსინათლოებს მისი მკურნალობით თვალის ჩინი უბრუნდებოდათ, ხეიბრები დადიოდნენ და ადიდებდნენ ქრისტეს. პანტელეიმონ მკურნალი ავადმყოფებს ქრისტიანობას უქადაგებდა, რის გამოც მას თავი მოჰკვეთეს.

...საბურთალოზე, წმინდა პანტელეიმონ მკურნალის სახელობის ტაძარში (ყოფილი რესპუბლიკური საავადმყოფოს ტერიტორია) ყოველთვის განსაკუთრებული ზეიმით ხვდებიან ამ დღეს, აქაური მრევლი თავის წინამძღვართან დეკანოზ დავითთან (შენგელია) და მღვდელ-მსახურებთან ერთად კვლავაც იღწვის თავისი შეკრების ადგილის მზრუნველობა-განახლებისათვის.

ამ დღეებში მეც ვეწვიე მამა დავითს, მან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის ყველა თანამშრომელს და მის მკითხველებს ღვთის კურთხევა უწყალობა და ხუთშაბათობით ტრადიციული საჯანმრთელო პარაკლისზე დასასწრებლად დალოცა.

**გიული ლიპარტია**

გირჩევთ!

# ფრენა იაფად სჯობს!

**ზაფხული, ტრადიციულად, ყველასათვის თუ არა, ყოველ შემთხვევაში საკმაოდ ბევრი ადამიანისთვის კურორტებზე დასვენების, მაშასადამე მოგზაურობის დროა. ამ დროს, ცხადია, ადამიანებს ხარჯი ეზრდებათ, რაც, სხვას თავი რომ დავანებოთ, ერთი ადგილიდან მეორემდე გადაადგილებასთანაა დაკავშირებული. ბოლო წლებში უამრავი ჩვენი თანამემამულე ევროპის კურორტებზე ატარებს ზაფხულის შვებულებას, ზოგი უფრო შორსაც მიდის. ეს, ბუნებრივია, საკმაოდ სოლიდურ დანახარჯთანაა დაკავშირებული, ავიაბილეთები კი ძვირია. თუმცა, როგორც საქმეში გარკვეული ხალხი ირწმუნება, არსებობს ამ ხარჯის შემცირების სავსებით კანონიერი გზები, რომელთა მისაგნებად რამდენიმე მარტივი რჩევის გათვალისწინებაა საჭირო.**

**რჩევა პირველი.** ავიაბილეთების დაჯავშნა უმჯობესია გაფრენამდე 2-3 თვით ადრე, რადგან რაც უფრო ახლოა რეისის თარიღი, მით უფრო მაღალია ბილეთის ფასი, ყველაზე დიდი ფასი კი ავიაბილეთებს შვებულებების ტრადიციულ პერიოდებში აქვთ – როგორც ზაფხულში, ისე ზამთარში, ასევე მოსწავლეთა და სტუდენტთა არდადეგების, შობა-ახალი წლისა და სხვა დღესასწაულების დროს. მეტიც: ამ პერიოდებისთვის ბილეთ-



ის შეძენის თადარიგი დროულად რომ დაიჭიროთ, ეკონომია, მართალია, კი იქნება, მაგრამ არა ძალიან დიდი. ამიტომ, თუ მეტ-ნაკლებად სოლიდური თანხის დაზოგვა გინდათ, უმჯობესია ავიაბილეთები „სამუშაო" პერიოდებზე შეიძინოთ.

**რჩევა მეორე.** უფრო იაფად გაფრინდეთ შეგიძლიათ შუა კვირაში – სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს. ყველაზე ძვირიანი ვარიანტი კი პარასკევს წასვლა და ორშაბათს უკან დაბრუნებაა.

**რჩევა მესამე.** აქეთ-იქით ავიაბილეთების შეძენა დაახლოებით 1,5-ჯერ უფრო იაფი დაგიჯდებათ, ვიდრე ცალი მიმართულებით ორი ბილეთის ყიდვა. ამიტომ მოგზაურობის დაგეგმვა თადარიგიანად სჯობს.

**რჩევა მეოთხე.** ინტერნეტით ბილეთის შეძენა უფრო იაფია, ვიდრე მისი სალაროში ყიდვა. ისინი, ვინც ბილეთებს სალაროებში ყიდულობენ, ამავდროულად მომსახურე ავიაკომპანიის ოფისის არენდის, ოპერატორის ხელფასსა და გადამყვანის სხვა ხარჯების ნაწილსაც იხდიან.

**რჩევა მეხუთე.** მრავალი ავიაკომპანია კომერციულ ბანკთან გარკვეულ შეთანხმებას დებს: როდესაც ავიაბილეთს შესაბამისი საბანკო ბარათით ყიდულობთ, თქვენ ეგრეთ წოდებულ „კილომეტრაჟს" აგროვებთ, რომლებითაც შემდგომ ბილეთის უფასოდ შეძენის საშულება გაქვთ და გადასახდელი მხოლოდ აეროპორტების მოსაკრებლებიღა გრჩებათ.

**რჩევა მეექვსე.** ისარგებლეთ ინტერნეტის საძიებო სისტემებით. ისეთ საიტებზე, როგორიცაა, მაგალითად, momomdo.com, skyscanner.ru, სხვები, ასობით ავიაგადამზიდავი და ბილეთების გამყიდველი ფირმის კოორდინატებია თავმოყრილი. აქედან თქვენ თვალნათლივ დაინახავთ, თუ როგორ და რა დროს დაგიჯდებათ უფრო იაფი ავიაგადაფრენა. ამავე დროს ყურადღებით უნდა იყოთ და ბილეთის საბოლოო ფასიც გადაამოწმეთ უშუალოდ მისი შეძენის წინ: საძიებო სისტემა ვალუტებს შორის სხვაობას არ ითვალისწინებს, ამდენად ბილეთის საბოლოო ფასი შესაძლოა მითითებულზე 5 პროცენტით ძვირი იყოს.

**რჩევა მეშვიდე.** ბილეთის ყიდვისას თარიღები „გადაწიეთ": არის იმის შესაძლებლობა, რომ თუკი მოგზაურობიდან ერთი დღით ადრე დაბრუნდებით, საგრძნობი ეკონომიის გაწევას შეძლებთ.

**რჩევა მერვე.** თვალყური ადევნეთ ავიაკომპანიების აქციების კურსს. თუკი ხელსაყრელ დროს შეარჩევთ, არსებობს ვარიანტი, რომ, ვთქვათ, ნიუ-იორკამდე ბილეთის ყიდვა უფრო იაფად შეძლოთ, ვიდრე ჰელსინკამდე. ამიტომ ღირს დიდი ავიაგადამყვანების ინტერნეტ-საიტებზე განთავსებულ ახალ ამბებზე ხელმოწერა.

**რჩევა მეცხრე.** თვითმფრინავით მგზავრობა გადაჯდომით უფრო იაფი ჯდება, ვიდრე პირდაპირი რეისით მგზავრობა. მაგრამ ამ დროს უნდა გახსოვდეთ, რომ თუკი შუაგზაში ჩამოხვალთ, უკან წამოსასვლელი ბილეთი ხშირ შემთხვევაში შეიძლება გაგიუქმონ, ამიტომ მგზავრობა დანიშნულების ადგილამდე სჯობს.

**ნინო ალექსანდრია**


საქართველო ტრადიციული მედიცინის სამშობლოა

ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით

„ფერდის" და „სალხინოს" კომპლექსური გამოყენება



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის" და „სალხინოს"** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის" და „სალხინოს"** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი" და 1 კაფსულა „სალხინო" 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი" ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

**„ფერდი" და „სალხინო"** იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

რეკლამა ბ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..


კადრი



ცინცხალი ანეკდოტები

**– მამი, ისევ დამავიწყდა, რომელი მხრიდან უნდა ჩავიცვა ტრუსები, – ეუბნება აწურული მიხო ნიკას.**

**– რა გემართება, ბიჭო?! – ხომ გითხარი, ყვითელი ნაჭერი წინა მხარეს უნდა იყოს, ყავისფერი კი უკნიდან-მეთქი?**

**– მამი, მაგრამ მე ხომ დალტონიკი ვარ?**

**– მაშინ უსუნე, შე შობელძაღლო, უსუნე!**

* * *

**– წარმოგიდგენია, ჩემი ქალიშვილი და მისი საქმრო მხოლოდ ის იყო, შევიდნენ ეკლესიაში, რომ შუქიც ჩაქრა. – ეუბნება სიდედრი სიდედრს.**

**– ღმერთო ჩემო!**

**– არა უშავს, ჩემმა გოგომ საქმრო მაინც პირდაპირ საკუთრხეველთან მიიყვანა: მან ეს გზა კარგად იცის.**



**– წარმოგიდგენია, ჩემმა ქმარმა მითხრა, შენთვის ქურქის საყიდლად მზად ვარ, მანქანა გავყიდოთო.**

**– ოჰო, რა კარგი ქმარი გყოლია!**

**– რა, ოჰო? მანქანა ხომ ჩემია!**

* * *

**მიდის ტიპი ტყეში. ხედავს, ქოხი დგას ქათმის ფეხებზე. იქიდან კუდიანი დედაბერი გამოდის და ეუბნება:**

**– ამ ქოხში ორი საწოლია. ერთზე მე მძინავს, მეორეზე – ჩემს დას. აირჩიე, რომელზე დაწვები.**

**– ეჰ, რა მაქვს ასარჩევი, ამ მათხოჯის დაც მასავით მახინჯი იქნება, – ჩაილაპარაკა ტიპმა და დედაბერს ჩაუწვა.**

**დილით ტიპი გარეთ გამოვიდა. ხედავს ქოხთან მზეთუნახავი დგას.**

**– შენ ვინა ხარ? – ეკითხება.**

**– მე კუდიანის და ვარ, შენ კი ვინა ხარ?**

**– ვინ ვარ და, ყველაზე დიდი დებილი!**


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24